საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 25 თებერვალი. 2016 წ. №36 (7928), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პოლიტიკური დივერსია

ფული ჯოჯოხეთს ანათებს, ანუ არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო!..

სარედაქციო წინასიტყვა

ძებნილი სააკაშვილის პოლიტიკური ნარჩენები, ახლა უკვე დავით ბაქრაძისა და სერგო რატიანის თავკაცობით და ირმა ნადირაშვილისა და ჩიორა თაქთაქიშვილის თავქალობით, „ცრუსთავი-2“-ის ეკრანს რომ აღარ სჯერდებიან, ევროპასა და ამერიკაში ნაწვიმარზე შხამიანი სოკოებივით ამოხუჩხუჩებული „ხელის ჭუჭყის“ მაძიებელ კერძო ორგანიზაციებს ურიგდებიან და თავიანთ ბოროტ სათქმელს იმათი ენა-პირით ანთხევენ შხამსა და გესლს მთელი მსოფლიოს თვალში ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლების გასათახსირებლად, რათა თავიანთი ჭკუით 2016 წლის არჩევნებში გასამარჯვებლად საბრძოლო ველი ამ ვითომ მიუკერძოებელი უცხო ცოცხითაც მოისუფთავონ. არადა, სინამდვილეში ეს ნაყიდი „უცხო ცოცხი“ ნაციონალთაგან საგანგებოდ მიწოდებულ საინფორმაციო სიბინძურეს უკანვე გვაფრქვევს დასავლურ გზაზე შემდგარ ქართველობას იმ იმედით, რომ გულუბრყვილონი ვართ და უფრო ადვილად მოვტყუვდებით, უფრო ადვილად ვირწმუნებთ ეგრეთ წოდებული, სინდისნამუსგაყიდული საერთაშორისო კერძო ორგანიზაციების მიერ დროდადრო ჩვენდა გასაცურებლად შემოგდებულ ვითომ ანალიტიკურ ანგარიშებს.

აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ „ანგარიშს“, უფრო სწორად, უცხოურად გაბრჭყვიალებულ (მეტი დამაჯერებლობისთვის!) ნაციონალურ ფოლგაში შეფუთულ **პოლიტიკური დივერსიის ბაცილას** ვთავაზობთ ჩვენს საღი აზრის მქონე მკითხველს, რომელსაც, როგორც იტყვიან, საკუთარ ტყავზე მტკივნეულად აქვს გამოცდილი, რა ვაჟბატონ-ქალბატონებიც ბრძანდებიან ეს უკვე ყელში ამოსული, საკუთარი სამშობლოსთვის მხოლოდ და მხოლოდ ავის მნდომი, თავიანთი ბნელი მიზნების მისაღწევად ყველაფრის მკადრებელი სააკანთ ბიჭის ძილგატეხილი, არასამთავრობოებად მონათლული დივერსანტები, რომელთაც ისღა დარჩენიათ თავიანთი პოლიტიკური ბოროტი მაიმუნობა წლევანდელი მაიმუნის წელიწადით გაამართლონ.

AMNESTY INTERNATIONAL-ის ანგარიში საქართველოს შესახებ

იხ. 2 გვ.

გასაქართველოებული წინაპარი – 850

5

რომინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია

მიხეილ დუნდუა:

როგორი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკური „განვითარების“ მოდელი?

3

8

საქართველოს თავისი არმიით მხოლოდ ტრაბახი შეუძლია!

ლეონიდ ჩერნოვეცკი:

ვინ ძარცვავს საქართველოს მოსახლეობას?!

4

ასე ნახალისდება წარმოება და დასაქმება?

9

ბიზნესის ნაწილი მთის კანონით ვერ ისარგებლებს

AMNESTY INTERNATIONAL-ის ანგარიში საქართველოს შესახებ

(პირველი გვერდიდან)

ორგანიზაცია AMNESTY INTERNATIONAL მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით ყოველწლიურ ანგარიშს აქვეყნებს, რომელშიც საქართველოსა და „რუსთავი-2“-ში არსებულ მდგომარეობაზე არის საუბარი.

„სამართლებრივი დავა ოპოზიციურ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით იწვევს შეშფოთებას გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია ანგარიშში.

AMNESTY INTERNATIONAL-ის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში წერია, რომ „ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, საქმე „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელი მფლობელების წინააღმდეგ ყოფილმა მფლობელმა ხელისუფლების კარნახით წამოიწყო და ის ოპოზიციისთვის აზრის გახმოვანების მთავარი საშუალების ჩამორთმევას ისახავდა მიზნად“.

„წლის ბოლოს, პოლიტიკური დაძაბულობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ წამქეზებელი განცხადებები გააკეთა. გამოქვეყნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობისდროინდელი ციხეში გაუპატიურების ამსახველი ფარული კადრები და გამჟღავნდა ყოფილ პრეზიდენტსა და ოპოზიციურად განწყობილ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მმართველებს შორის კავშირი. „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ოფისს ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური მოტივებით ხალხის ბრბო დაესხა თავს. ეროვნული ვალუტის 26 პროცენტით გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში კი არაერთი ოჯახი დააზარალა, რომლებსაც წინა წლებში სესხები ჰქონდათ აღებული, ეკონომიკური არამდგრადობა გაიზარდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილება შეიზღუდა. უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების კუთხით პრობლემები ორ მიძინებულ კონფლიქტთან დაკავშირებით კვლავ არსებობს“, — აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ არსებობს ბრალდებები სასამართლო სისტემაზე პოლიტიკურ ზეწოლასთან და შერჩევით სამართალთან დაკავშირებითაც. საუბარია, ასევე სამართალდამცველების მიერ მშვიდობიანი შეკრებების შეზღუდვისა და მათი დაშლის ფაქტებზე.



დოკუმენტში ასევე საუბარია ლგბტ თემის წევრების უფლებების მხრივ არსებულ ვითარებაზე.

„ჰომოფობიისა და ტრანსოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღემ 17 მაისს მშვიდობიანად ჩაიარა, ხელისუფლებამ უარი თქვა ღონისძიების უსაფრთხოების გარანტირებაზე, ვიდრე იგი კონკრეტულ ადგილას, წინასწარი დაანონსების გარეშე არ ჩატარდა. 7 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მამაკაცს ტრანსგენდერი ქალბატონის ძალადობასა და კიდევ ერთის მკვლელობასა და მისი სახლის დაწვაში დასდო ბრალი და მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობა იყო თავდაცვის მიზნით და მას შესაბამისი სასჯელი მიუსაჯა“, — აღნიშნულია ანგარიშში.

დოკუმენტში ნახსენებია გიგი უგულავას საქმეც, რომელთან დაკავშირებითაც 17 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო: **„მიღებული გადაწყვეტილების გამო მოსამართლეები მთავრობის ლიდერების მხრიდან მკაცრი კრიტიკის, ხოლო მთავრობის მხარდამჭერი ჯგუფების მხრიდან დაშინების მხვერპლნი გახდნენ“,** — წერია დოკუმენტში.

AMNESTY INTERNATIONAL-ის ანგარიშში საუბარია შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზეც.

„იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პოლიციამ უკანონოდ შეზღუდა ან აღკვეთა მშვიდობიანი შეკრება, მაშინ როდესაც რამდენიმე შემთხვევაში მათ ვერ შეძლეს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის შეტაკებების პრევენცია. 15 მარტს „ქართული ოცნების“ დაახლოებით 50 მხარდამჭერი ძალის გამოყენებით შეიჭრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებში — ზუგდიდში ხის ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა ოფისში და ფანჯრები ჩაამსხვრია. გავრცელებული ცნობით, 9 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი სამართალდამცველი, რომელმაც მათი შეჩერება სცადა, თუმცა, თავდამსხმელები ბევრნი იყვნენ. 12 ივნისს 15-მა აქტივისტმა სცადა თბილისში ჰეიდარ ალიევის სკვერში აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების არასათანადო დაცვის გასაპროტესტებლად შეკრება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ევროპული თამაშების დაწყებამდე. პიკეტირებამდე, პოლიციის წარმომადგენლებმა გადაკეტეს სკვერი და აქტივისტებს მიზეზის გარეშე უარი უთხრეს იქ შესვლაზე“, — წერია ანგარიშში.

„იპოვე ნარმანიას ორმო“

დედაქალაქის მერის ახალი ინიციატივა

დედაქალაქის მერია თბილისში გზების მოწესრიგების სამუშაოებს იწყებს. როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, დავით ნარმანიამ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს კატეგორიულად მოსთხოვა, დასრულდეს გზებთან დაკავშირებული პრობლემები და ქალაქში არა თუ ამორტიზებული გზის მონაკვეთები, „ერთი ორმოც არ უნდა იყოს“.

ნარმანიას მოთხოვნით, ივლისში დედაქალაქის ყველა ქუჩა მოწესრიგებული უნდა იყოს. განსაკუთრებული ყურადღება მერმა გაამახვილა კოსტავას ქუჩაზე — ტელევიზიის წინ ასფალტის საფარის გამოცვლის აუცილებლობასა და დედაქალაქის შიდა ქუჩებში დაზიანებული გზის საფარის მოწესრიგებაზე.

ნარმანიამ კატეგორიულად მოითხოვა კონტრაქტორი კომპანიების სანდოობის მათი გამოცდილების გათვალისწინება და უმკაცრესი სანქციების დაწესება უხარისხო ან ვადაში შეუსრულებელი სამუშაოების გამო.

როგორც დახურულ შეხვედრაზე ნარმანიამ კეთილმოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს განუცხადა, ივნისის ბოლოს ის საჯაროდ მიმართავს ჟურნალისტებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ჩატარებული სამუშაოების საზოგადოებრივი მონიტორინგისთვის.

როგორც ცნობილია, საგზაო სამუშაოების მოწესრიგებისა და გზის ახალი საფარის დასაგებად თბილისის ბიუჯეტი 70 მილიონამდე ხარჯს გასწევს.

* * *

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე კეთილმოწყობის სამსახურს, სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებასთან დაკავშირებით, მკაცრი კონტროლი დაავალა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაზეც დედაქალაქის მერმა ისაუბრა, გზების კაპიტალური შეკეთება იყო.

დავით ნარმანიას განცხადებით, პროცესი უკვე დაწყებულია და 6-მლნ-ანი ხელშეკრულების ფარგლებში, სამუშაოების მწარმოებელი კომპანია პირველ ეტაპზე კაპიტალურად გააკეთებს სამებისა და მახათას ეკლესიების დამაკავშირებელ გზას, ასევე, განახორციელებს წავკისში 1კმ-მდე სიგრძის გზის (რომელიც თბილისი-კოჯრის საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთია), დიდუბის რაიონში აგლაძის ქუჩისა და კრწანისის რაიონში მდებარე ღოღობერიძის ქუჩის კაპიტალურ შეკეთებას. წლის ბოლომდე კი დედაქალაქის მასშტაბით სამუშაოები სხვა ქუჩებზეც განხორციელდება.

* * *

მერიაში სტრუქტურული ოპტიმიზაციის პროცესი გრძელდება, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე.

დავითი ნარმანიას განმარტებით, ოპტიმიზაციის მთავარი მიზანია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და რესურსების უფრო ეფექტური გადანაწილება.

„მერიაში დაწყებულია სტრუქტურული ოპტიმიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს ცალკეული სამსახურების შერწყმას. როგორც მთავრობის წინა სხდომაზე მოგეწოდათ ინფორმაცია 4 შპს, რომელიც მუნიციპალური საკუთრების იყო, ერთმანეთს შეერწყა. ეს არის **თბილსერვის ჯგუფი, უძრავი ქონება — თბილისი, თბილისის პარკები და სინათლის ქალაქი.** ასევე, მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის უფლებამოსილებები გადაეცა ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს. პროცესი მიმდინარეობს. ამიტომ, იმისთვის, რომ საზოგადოებას დროული და სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ, ვავალებ ჩემს მოადგილეებს, რომ გეგმა, რომელიც გვაქვს და აქტიურად ვმუშაობთ, მივაწოდოთ საზოგადოებას. გავაკეთოთ მისი განხილვა და წარვუდგინოთ დედაქალაქის საკრებულოს.

სახელმწიფოს მოწყობის საკითხები საჯარო განხილვა

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით პროექტი — „სახელმწიფო მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმი“ მარტში დაიწყება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, პროექტის მიზანია სახელმწიფო მოწყობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო, აკადემიური და პოლიტიკური დისკუსიების მოწყობა.

ამ აქტივობებში მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები, პროფესორები, დიპლომატიური კორპუსის, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი განახორციელებს.

პროექტის დირექტორის, პროფესორ მამუკა ბერიაშვილის განცხადებით, ეს არის განმანათლებლური პროექტი და მიზნად ისახავს საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი გაგების, აზრის ჩამოყალიბებას — ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი, რაც ჩვენ ჩაგვაყენებს ევროპული, თავისუფალი, კონსტიტუციური სახელომწიფოების რიგში.

ნაციონალებს სანდრა მოენატრათ...

„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერმა ერთ-ერთმა ძალინ დიდმა ჯგუფმა, გამოკითხვა ჩაატარა, ვის ისურვებდით პარტიის პირველ ნომრად იხილოთ? გამოკითხვის თანახმად: პირველ ადგილზე ნიკა მელია დასახელდა, მეორეზე სანდრა რულოვსი, მესამეზე გიორგი ვაშაძე და მეოთხეზე გიორგი ქადაგიძე. დანარჩენები კი ძალიან შორს აღმოჩნდნენ.

ამის შესახებ მედიანიუსთან საუბარში საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიას“ წევრმა მამუკა გამყრელიძემ განაცხადა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მიხელ მაჭავარიანმა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ პარტიაში ცვლილებები მოხდება, რომ მას ახალი სახეები შეემატება, თუმცა, არ დაუკონკრეტებია ვინ შეიძლება გახდეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი.

მამუკა გამყრელიძე მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობის“ განახლებაში ძალიან ბევრი რამეა დაკავშირებული მიხეილ სააკაშვილის პერსონაზე.

მიხეილ დუნდუა:

როგორი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკური „განვითარების“ მოდელი?

2010 წლიდან არანაირი სწრაფი ეკონომიკური ზრდა არ იყო დაგეგმილი

ყოფილ პრეზიდენტს ბევრი „ცოდვა“ დაუგროვდა, რის გამოც საზოგადოება ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. იმედია, ლარის დევალვაციის პიკი გადაივლის და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელი ძველ პოლიტიკას შეცვლის...

„გამოსავალი არ არის შეზღუდვა, გამოსავალია სწრაფი ეკონომიკური ზრდა“, — ეს განცხადება ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ერთი კვირის წინათ „რუსთავი-2“-ის ეთერში გააკეთა და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს მას ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის რეალური გეგმა ჰქონდა, ხოლო მთავრობა ქვეყნის გადარჩენის საშუალებას არ აძლევდა. გიორგი ქადაგიძეს ექსპერტთა შორის ფაქტებითა და არგუმენტებით ერთადერთი მიხეილ დუნდუა დაუპირისპირდა, რომელმაც სების პრეზიდენტი დააბნია... ჩვენ გავესაუბრეთ ბატონ მიხეილს და ვთხოვეთ იმ მონაცემების კიდევ ერთხელ გასაჯაროება, რის საფუძველზეც მან ოპონენტს სერიოზული ბრალდებები წაუყენა.

— იმაში დასარწმუნებლად, რომ ქადაგიძის ნაქადაგარი მხოლოდ პოპულიზმზეა გათვლილი, უნდა წავიკითხოთ მისი, 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, — ამბობს ექსპერტი, — ეროვნული ბანკი და გიორგი ქადაგიძე 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში განიხილავს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარს. ყველა სცენარში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება 2013 წლიდან იწყება. ყველაზე ოპტიმისტურ სცენარშიც კი 2012 წლის შემდეგ ეკონომიკის ზრდის ტემპი 5%-მდე უნდა შემცირებულიყო. შემდეგ 4% გახდებოდა, ბოლოს კი 3,5%-ის დონეზე დასტაბილურდებოდა.

არანაირი სწრაფი ეკონომიკური ზრდა არ იყო დაგეგმილი, იდეაშიც კი. იმჟამინდელი ეკონომიკური „განვითარების“ მოდელი გარდაუვალად გულისხმობდა 2013 წლიდან სერიოზული პრობლემების დაწყებას.

— საინტერესოა, როგორი იყო კონკრეტულად ქადაგიძისეული პროგნოზი?

— საბაზისო სცენარი ასეთი იყო: **„რეალური მშპ-ს ზრდა დაშვებულია 5 პროცენტზე 2012 წლიდან 2018 წლამდე, 4-პროცენტიანი ზრდა-2019-2026 წლებში და შემდგომ გრძელვადიანი ზრდა 3,5 პროცენტზე. ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა აღდგენის პროცესშია, ამიტომ 2012 წლამდე ზრდის ტემპმა უნდა იმატოს. ბუნებრივია, მაღალი ზრდის ტემპი მუდმივად არ შენარჩუნდება, ამიტომ რაღაც დროის შემდეგ ზრდის მაჩვენებელი შემცირდება“.** ამას მოჰყვებოდა ალტერნატიული სცენარები:

„ვალის მომსახურების არსებული გრაფიკის მიხედვით 2013 წლისთვის ვალის მომსახურების პიკი გვექნება, რადგან ამ პერიოდს ემთხვევა ობლიგაციების დაფარვა. რადგან ვალის მომსახურებასთან განსაკუთრებული სიძნელეებია მოსალოდნელი, ამიტომ ყველა სცენარში შოკი დაშვებულია 2013 წელს.

პირველი, „ამ ანალიზში განხილულია გაცვლითი კურსის ერთჯერადი (საგრძნობი) და ყოველწლიური (მცირე ტემპებით) გაუფასურება. ერთჯერადი 30-პროცენტიანი გაუფასურება 2013 წელს“.

მეორე, „ამ სცენარში 2013 წელს მშპ-ს ზრდის ტემპი 3 პროცენტული პუნქტით მცირდება (საბაზისო სცენართან შედარებით (5%) და 5 წლის შემდეგ თანდათანობით უბრუნდება ნორმალურ დონეს“.

და მესამე, „ამ სცენარში 2013 წელს მშპ-ს ზრდის ტემპი მცირდება 2 პროცენტული პუნქტით და შემდგომ თანდათანობით 5 წლის შემდეგ დაუბრუნდება ნორმალურ დონეს. შედეგად ბიუჯეტის დეფიციტიც 2 პროცენტული პუნქტით იზრდება და ასევე 5 წლის შემდეგ უბრუნდება ნორმალურ დონეს. ლარის კურსი ამ ხუთი წლის მანძილზე უფასურდება“. აი, ასეთი სცენარები უკვე აღწერილია 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში.

— 2013 წლიდან ქვეყანამ ნამდვილად მიიღო საგარეო ვალის შოკი.

— დიახ, 2013 წლიდან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი საგარეო ვალის აქტიური დაფარვის ფაზაში გადავიდა. თუ 2008-2012 წლებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სესხების გამოკლებით) საშუალოდ მილიარდ-ნახევარი დოლარით იზრდებოდა, 2013 წლის ეს მაჩვენებელი არათუ გაიზარდა, პირიქით, საქართველოს ისტორიაში პირველად შემცირდა 4 მილიონი დოლარით, ხოლო 2014 წელს გაიზარდა მხოლოდ 83 მილიონი დოლარით. **2013 წლის შემდეგ დასრულდა პრაქტიკა, როცა ქვეყანა სავალუტო დეფიციტს მასშტაბური ვალის აღებით აბალანსებდა.**

— ის, რომ 2013 წლიდან საქართველო საგარეო ვალის დაფარვის აქტიურ ფაზაში შევიდა, ეს ეროვნულმა ბანკმა 2014 წელს აღიარა, როცა 2013 წლის წლიური ანგარიში გამოაქვეყნა, არა?

— რა თქმა უნდა, 2013 წლის წლიურ ანგარიშში ცხადად ეწერა, „რომ გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკისა და ქვეყნის მთავრობის დავალიანებების მსხვილი დაფარვებით, რაც ნეგატიურად მოქმედებდა საერთაშორისო რეზერვების მოცულობის სიდიდეზე. 2013 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაიხადა 19,6 მლნ SDR ECF-ის სესხის დასაფარად, აგრეთვე SBA-ის დასაფარად სულ გადახდილ იქნა 231.5 მლნ SDR, აქედან საქართველოს მთავრობამ გადაიხადა 92,1 მლნ. SDR ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 139,4 მლნ SDR . გარდა ამისა, 2013 წელს მთავრობამ დაფარა 2008 წელს გამოშვებული 5 მილიონი ევრობონდის დარჩენილი ნაწილი 64, 75 მლნ აშშ დოლარის ოდენობით და ამავე ევრობონდების საპროცენტო სარგებლის ხარჯი 34, 4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით.

ასე რომ, სამარცხვინოა, როცა სწრაფი დევალვაციისა და ეკონომიკის ზრდის შეფერხების ნათლად გამოკვეთილი რისკების მიუხედავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლიდან შეწყვიტა ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის გამოქვეყნება, რითაც საინფორმაციო იზოლაციაში მოაქცია ბიზნესი და საზოგადოებაც.

— მოდით, გავაკეთოთ ფაქტების მოკლე რეზიუმე...

— 2008-2012 წლებში საქართველოს მთავრობა დოლარის დეფიციტს მასშტაბური ვალის აღებით აბალანსებდა. ამიტომაც ამ წლებში ლარის კურსის სტაბილურობას განსაზღვრავდა საგარეო ვალების მოცულობა და არა ის, რომ შიდა ეკონომიკური ფაქტორების დადებითი ტენდენციები გვქონდა. 2013 წელს საქართველოს მოუწია საგარეო ვალის გასტუმრება, ანუ ვალის დაფარვის აქტიურ ფაზაში შევიდა. ამის გამო საერთაშორისო რეზერვების მოცულობა შემცირდა ანუ ქვეყნიდან გაედინებოდა ფული. ამდენად, მივიღეთ კიდეც საგარეო დავალიანების ზრდის მკვეთრი შემცირებით გამოწვეული გარდაუვალი შოკი, რომელიც ლარის დევალვაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზეზი გახლავთ.

— გასაგებია, თუმცა, ეთერში ისაუბრეთ ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ განსახორციელებელ საზედამხედველო საკითხებზე...

— როდესაც ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე თავის უფლებამოსილების აღსრულებას შეუდგა, პირველივე 2009 წლის ანგარიშში ნათლად და ცხადად ჩამოაყალიბა ფინანსური სტაბილურობის ის პრინციპები და ფაქტორები, რომელსაც იგი, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ყურადღებას მიაქცევდა და რეფორმებსაც გატარებდა. ეროვნული ბანკის 2009 წლის ანგარიშში, სადაც შესაბამისი დაპირებები უხვად არის გაცემული, ვკითხულობთ, რომ ფინანსური სტაბილურობის გამოწვევებიდან გამომდინარე, სხვა ფაქტორებთან ერთად ეროვნულმა ბანკმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საზედამხედველო საკითხებს: **„რამდენად არის სესხი დამოკიდებული უზრუნველყოფაზე და ბანკი ზედმეტ ყურადღებას უზრუნველყოფას ხომ არ აქცევს, გადახდისუნარიანობაზე ნაკლები ყურადღების დათმობის ხარჯზე. ეს საკითხები დღემდე არ არის დარეგულირებული, პირიქით, ეროვნული ბანკის უყურადღებობის გამო ვითარება მკვეთრად გამწვავებულია და მოსახლეობას საბანკო დავალიანება მძიმე ტვირთად აწვება.**

საცალო სესხის ამღები მოსახლეობის 60% შემოსავლის 40%-ზე მეტს საბანკო ვალის მომსახურებისათვის იხდის. 20% იხდის 60%-ზე მეტს; 12-% იხდის შემოსავლის 70%-ზე მეტს; 8% იხდის 80%-ზე მეტს; 6% იხდის შემოსავლის 90%-ზე მეტს; 5% იხდის 100%-ზე მეტს. არადა, ჯერ კიდევ 2009 წლის სების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ეროვნული ბანკის სტანდარტით და დაპირებით, „სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში მსესხებლის ვალის მომსახურება შემოსავალთან ლიმიტი არის 30%, ხოლო მსესხებლის ღია სავალუტო პოზიციის შემთხვევაში 20%.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის დღევანდელი სტანდარტის მიხედვით, სამომხმარებლო სესხის კატეგორიაში არ შედის საავტომობილო სესხები, ოვერდრაფტები, სწრაფი განვადებები, სამომხმარებლო საკრედიტო ბარათებით გაცემული სესხები.

რაც ყველაზე საგანგაშოა, კომერციული ბანკების მხრიდან კატასტროფულად იმატა შეთავაზებებმა საცალო სესხების დამტკიცების შესახებ, ისეთი ბანკებისაგან, სადაც შეთავაზების მიმღები პირი ბოლოს ნამყოფი შეიძლება, ერთი წლის მანძილზე არ იყოს. უფრო მეტიც, ფიქსირდება ღია აშკარა შეთავაზებები სატელეფონო მესიჯებით: გთავაზობთ სესხს შემოსავლების დადასტურების გარეშე. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკი არ განიხილავს, ელემენტარულ სტატისტიკასაც კი, თუ როგორ არის სესხის ამღები მოქალაქის საკრედიტო ტვირთი დაკავშირებული მის შემოსავალთან.

— ამ მძიმე შეცდომის გარდა, თქვენ ქადაგიძეს უსაყვედურეთ, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო ფონდის არც სხვა რეკომენდაციებს ასრულებს ჯეროვნად, რა რეკომენდაციებს გულისხმობდით?

— რამდენიმეს მოგახსენებთ: მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, **ეროვნული ბანკი უნდა აქვეყნებდეს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს,** რომელსაც სავალუტო ფონდის მოთხოვნის მიუხედავად უკვე 3 წელია, არ ქმნის. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ სებ-ის ანგარიშში ქადაგიძე პირობას დებს, რომ 2015 წლის ბოლოს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს გამოაქვეყნებს. ეს პირობა დაირღვა.

ეროვნულმა ბანკმა უნდა შექმნას პასუხისმგებელი ორგანო — ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელიც სულ მცირე, კვარტალში ერთხელ უნდა იკრიბებოდეს და გადაწყვეტილებებს იღებდეს, რომელიც უნდა დაამტკიცოს სებ-ის პრეზიდენტმა და აცნობოს საზოგადოებას. ასეთი კომიტეტის არსებობა არ დასტურდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, რომ არაფერი ვთქვათ მის კვარტალურ შეკრებებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, სებ-ში აცხადებენ, რომ კომიტეტი შექმნილია და მას თავად ქადაგიძე ხელმძღვანელობდა, რაც ღიმილის მომგვრელია.

„ანგარიშვალდებულების ფარგლების გამყარება: საქართველოს ეროვნული ბანკის უფრო მეტი ფორმალიზებული და გამჭირვალე მაკროპრუდენციული უფლებამოსილება შესაბამისობაში უნდა იყოს ძლიერ ანგარიშვალდებულებასთან. ეს ანგარიშვალდებულება უნდა შეიცავდეს: **(1)** მაკროპრუდენციულ პოლიტიკასთან მიმართებით მთლიანი სტრატეგიის ექს-ანტიკომუნიკაციას; **(2)** იმ განხილვების დეტალურ კომუნიკაციას, რომელმაც გამოიწვია კონკრეტული სტრატეგიული გადაწყვეტილებები; და **(3)** გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის ექს-პოსტშეფასებას“ (სტილი დაცულია). მსგავსი რამ არ ხდება!

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შექმნას ფინანსური სტაბილურობის განყოფილება. მაკროპრუდენციულ სისტემას ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანმა წინასწარმა გაფრთხილების სისტემამ, რათა მოხდეს მთლიანად საფინანსო სისტემის რისკების იდენტიფიცირება და მონიტორინგი. აზრი მდგომარეობს შემდეგში, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიქმნას სპეციალური განყოფილება, რომელიც განსხვავებით თითოეული ბანკის საკითხებისგან, კონცენტრირებული იქნება ამ საკითხებზე. საერთაშორისო ერთიანი პრაქტიკისა და ქართულ კონტექსტში მათი სტაბილურობის შესაბამისად, ახალმა განყოფილებამ, როგორც მინიმუმ, რეგულარულად უნდა ჩაატაროს ქართული ბანკების სტრესტესტები: გააერთიანოს მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გაანალიზებული მაკროეკონომიკური განვითარება და რისკები. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტისათვის მოამზადოს მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესახებ ზომები და ა.შ.

რეკომენდაციაში წერია, რომ უნდა მოხდეს კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის (CCB) გეგმაზომიერი შემოღება. საქართველოს ეროვნული ბანკმა პირობა დადო, რომ ბაზელ III სტანდარტების BCBS 2010 a, 2010 b შესაბამისად კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის რეჟიმის გამოყენებას დაიწყებდა 2015 წლიდან. ეს ინსტრუმენტი საშუალებას მისცემს საქართველოს ეროვნულ ბანკს უფრო ეფექტურად გაუმკლავდეს ჭარბი კრედიტების ზრდის პერიოდს და გაზარდოს სისტემის მდგრადობა კრიზისულ პერიოდში. ბუმის პერიოდში კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი უნდა გაიზარდოს, რომელიც, ერთი მხრივ, ზრდის კაპიტალის ღირებულებას, რითაც ამცირებს კრედიტის მოთხოვნას და მეორე მხრივ, იწვევს ბანკების მიერ რისკის შემცველი აქტივების ზრდის შენელებას, რითაც მცირდება კრედიტის მიწოდება. შესაბამისად, ინსტრუმენტი ეფექტურად ანელებს ჭარბი კრედიტების გაზრდას და ხელს უწყობს კაპიტალის ბუფერის ზრდას ნორმალურ პერიოდებში, სტრესების პერიოდში კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი უნდა გათავისუფლდეს, რაც საშუალებას მისცემს ბანკებს, გამოიყენონ, დამატებითი ბუფერები, რათა აითვისონ დანაკარგები ეკონომიკაში კრედიტების გადინების შეუჩერებლად. ეს რეკომენდაცია როგორ შესრულდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გეგმაზომიერი დანერგვა... ესეც არ არის შესრულებული...

— გამოდის, რომ სების ყოფილ პრეზიდენტს ბევრი „ცოდვა“ დაუგროვდა, რის გამოც საზოგადოება ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. იმედია, ლარის დევალვაციის პიკი გადაივლის და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელი ძველ პოლიტიკას შეცვლის...

— იმედია!!!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ კაცი, რომელიც გადარჩენასა და აშენებას გვპირდება

ლეონიდ ჩერნოვეცკი:

ვინ ძარცვავს საქართველოს მოსახლეობას?!

ПОЛИТИКУРИ მოძრაობის „ბედნიერი საქართველოსთვის“ ლიდერი **ლეონიდ ჩერნოვეცკი** საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ღია წერილით მიმართავს, რომ შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შეზღუდავს სესხების გაცემას ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციებისა და ლომბარდების მიერ. ჩერნოვეცკი ამავე წერილში მწუხარებას გამოთქვამს, რომ პრემიერმა არ უპასუხა მის წერილს, რომელიც ეხებოდა ბანკების მიერ მოსახლეობისთვის გაცემულ კრედიტებს უკანასკნელი საცხოვრებლის უზრუნველყოფით და შემდეგ მათ ქუჩაში გაყრას.

„დღეს მინდა, მოგმართოთ ინიციატივით, რომელიც ჩვენი მოქალაქეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას ეხება.

საქართველოს მოქალაქეებს უდიდესი პრობლემა აქვთ, მათ უმეტესობას აქვთ სესხები და დღითი დღე სულ უფრო და უფრო უჭირთ მათი დაფარვა. მართალია, დასავლური სამყაროც სესხებით ცხოვრობს და ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ის პირობები, რომლებიც საქართველოს საფინანსო დაწესებულებებს (ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციები, ლომბარდები და ა.შ) აქვთ (წლიური 300-400-700 პროცენტი) - ეს არის ძარცვა და კრიმინალი.

სამწუხაროდ, ათობით არასაბანკო ორგანიზაცია არსებობს, რომელიც გასცემს სწრაფ ონლაინ-სესხებს და სხვა სახის კრედიტებს წლიურ 300-700 და უფრო მეტ პროცენტად, რაც მსოფლიო მასშტაბით არარეალურია და დიდ ფინანსურ ზარალს აყენებს მოსახლეობას, რის შედეგადაც მოქალაქეები აღებული ვალდებულებებიდან გამოსავალს ვეღარ პოულობენ.

ახალგაზრდები, სტუდენტები, სოციალურად დაუცველები და არა მარტო ისინი, იძირებიან უზარმაზარ კრედიტებში, რომლებსაც ვერ ფარავენ და აქედან გამომდინარე, მათი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი (ცახალგაზრდობა) დიდი პრობლემებით იწყება. სამწუხაროდ, უამრავი შემთხვევაა, როცა ასეთი მოუგვარებელი პრობლემები ფატალურად მთავრდება. ეს ახალგაზრდები იწყებენ კრიმინალურ, უკანონო საქმიანობას, ან კიდევ უფრო მძიმე კანონდარღვევებს სჩადიან და ტრაგიკულად ამთავრებენ სიცოცხლეს.

ის, რაც ახლა ხდება, არის სახელმწიფოს დანაშაული თავისი ხალხის წინაშე, რადგან გამოუცდელ ახალგაზრდებსა და უბრალო, გაჭირვებულ მოქალაქეებს კრედიტების მახეში აბამენ და მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ, სწრაფად დააღწიონ თავიანთ პრობლემებს.

კრედიტები ყოველგვარი შემოწმების გარეშე გაიცემა, არ მოწმდება რამდენად გადახდისუნარიანია მოქალაქე, ეს კი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უფლებების პირდაპირი დარღვევაა. სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს პრევენციული ზომების გატარებაზე. ამ საქმიანობით უდიდეს მოგებას ნახულობენ ამ საქმეში ჩართული „“ბიზნესმენები“, რომლებიც უკვე გახდნენ ადამიანების უბედურების მიზეზი.

მიმაჩნია, რომ დადგა დრო, დასრულდეს ამ მძარცველი ბიზნესმენების ერა, რომ ქვეყანამ დაიწყოს ცხოვრება ისე, როგორც ჩვენ ყველას გვინდა — ევროპულად და ღირსეულად... ვიზრუნოთ ჩვენს მოქალაქეებზე და ამ არანორმალურებს არ მივცეთ უფლება, დაუნგრიონ ახალგაზრდებს მომავალი და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ ხალხის პრობლემები. გამოსავალი კი იმაში მდგომარეობს, რომ არ უნდა გაიცეს კრედიტები, რომლის დასაფარადაც მოსახლეობას უწევს სამჯერ, ოთხჯერ და ზოგჯერ რვაჯერ მეტის გადახდაც კი, ვიდრე არის ის თანხა, რაც მათ სესხის სახით აიღეს.

მზად ვარ, დავხარჯო იმდენი ფული რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შეზღუდავს სესხების გაცემას მსგავს უზარმაზარ პროცენტებში და სესხები დაექვემდებარება რეალურ საპროცენტო განაკვეთებს.

ბატონო გიორგი, მოგმართავთ ინიციატივით, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე გადავწყვიტოთ, რომ არც ერთ საფინანსო ინსტიტუტს (ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაცია, ლომბარდი თუ სხვა) არ ჰქონდეს უფლება, გასცეს სესხი, რომლის წლიური პროცენტი 50 %-ზე მეტი იქნება.

და აგრეთვე მნიშვნელოვანია, კრედიტები მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულმა დაწესებულებებმა გასცენ!

ამ პრობლემების მოგვარება შეიძლება სისტემურად და მხოლოდ შესაბამისი კანონის მიღების საფუძველზე, რომელიც ამ უკვე აპრობირებული ხერხით ხალხის ძარცვას ნებისმიერ ორგანიზაციას აუკრძალავს.

10 წლის განმავლობაში უკრაინაში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მმართველი და მფლობელი გახლდით. მზად ვარ, პირადად გავუზიარო ყველას მთელი ჩემი გამოცდილება, რაც ძვეძნის ფინანსურ ინსტიტუტებსაც მოუტანს სარგებელს და მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება.

დიდი იმედი მაქვს, რომ დაინტერესდებით ამ კანონპროექტის შემუშაებით და აღნიშნულ ინიციატივას საპარლამენტო უმრავლესობას წარუდგენთ“, — ნათქვამია მიმართვაში.

◎ ინფორმაცია

წლის ბოლომდე ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკების თაობაზე შეთანხმება დასრულდება

თურქეთში ვიზიტით მყოფი საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი თბილისში, ორი დღის განმავლობაში საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის დაწყების შესახებ გამართულ პირველი რაუნდის მოლაპარაკებებს ეხმაურება.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ქართული მხარე საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს ამ მიმართულებით და არის გარკვეული მიღწევებიც.

ვიცე-პრემიერმა კომენტარი, ასევე, თბილისში, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაციასთან მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებაც გააკეთა. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ეს არის პრაქტიკულად მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი, რისი დასრულების შემდეგაც ქართველ მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის გატანის კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობა ეძლევათ. „ეს იქნება კიდევ 14-მილიონიანი დამატებითი ბაზარი, რომელზეც ქართველ მწარმოებლებს და სერვისის მიმწოდებლებს შეეძლებათ ტარიფების გარეშე თავიანთი პროდუქციის მიწოდება“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

◎ ვალეგის ულელი

უფულო მსესხებელთა გასაჭირი

ლარის გაუფასურების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული შედეგია იპოთეკართა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ამასთან, მოსახლეობის გაჭირვებული ყოფის უტყუარი დასტურია „იპოთეკის ხაფანგში“ ნებაყოფლობით მოხვედრილთა რიცხოვნობის განუხრელი, ფაქტობრივად, ყოველდღიური ზრდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მარტო შარშან უცხოური ვალუტით გაცემული მსესხებლის ქონებით უზრუნველყოფილმა სესხებმა მილიარდ 658 მილიონი ლარით (ანუ, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 32 პროცენტით!) გაიზარდა და 6 მილიარდ 848 მილიონ ლარს გაუტოლდა. შედარებისთვის შეიძლება იმის თქმა, რომ 2014 წელს იპოთეკურ სესხთა მოცულობა 28,5 პროცენტით იყო გაზრდილი, 2013 წელს — 10,6 პროცენტით, 2012 წელს კი, სულაც, 8,7 პროცენტით.

ამდენად, როგორც თვალნათლივ ჩანს, შარშანდელი, ასე ვთქვათ, „იპოთეკის ინდექსი“ ბოლო ოთხი წლის მანძილზე კატასტროფულად, დაახლოებით ოთხჯერაა გაზრდილი. დოლარის უსაშველოდ გამყარებისა და, შესაბამისად, ლარის გაუფასურების შედეგად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავალი — ყოველგვარი ინდექსაციის არარსებობის პირობებში! — საოცრად შემცირდა, ხალხი იძულებულია საარსებოდ, ხშირად სასიცოცხლოდ აუცილებელი სახსრების მოსაპოვებლად, ქონება დააგირაოს, რომლის დაკარგვის საფრთხე ლამის ყოველდღიურად იზრდება. მდგომარეობის უკიდურეს სიმძაფრეს თუნდაც მოვალეთა რეესტრის მონაცემები მოწმობს: **მარტო წლევანდელი 1 იანვრიდან ეს სავალალო ნუსხა 5,5 ათასი კაცის გვარ-სახელითაა გაზრდილი!**

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბოლო დროს კომერციულმა ბანკებმა იპოთეკით გაცემული სესხების პირობებიც გაამკაცრეს — კერძოდ, **მაღალი საპროცენტო განაკვეთების გარდა, გირაოში ჩასადები ქონების ღირებულება გასაცემ თანხას რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს. კიდევ ერთი „დარტყმა“ იპოთეკარებზე ისაა, რომ გრძელვადიან სესხებს კომერციული ბანკები გაუფასურებული ლარებით არ გასცემენ — თავის დასაზღვევად ისინი მათ ვალუტით იძლევიან.** ამდენად, დევალვაციის მთელი საფრთხე და ტვირთი მსესხებელს ანუ, ამ შემთხვევაში, იპოთეკარს აწვება მხრებზე. ამის შედეგად, მსესხებელთა მთელი დავალიანების ლომის წილი — 65 პროცენტი — უცხოურ ვალუტაზე მოდის, რაც ლარსაც უფრო მეტ საფრთხეს უქმნის და თავად მოვალეებისთვისაც ქონების დაკარგვის უფრო დიდი საშიშროების წინაშე აყენებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ 6 მილიარდ 848 მილიონი ლარის დავალიანებაში, 3 მილიარდ 398 მილიონი ლარი ფიზიკურ პირთა წილად, 3 მილიარდ 450 მილიონი ლარი კი იურიდიულ პირებზე მოდის.

სავსებით გასაგები მიზეზით, პრობლემას გაცილებით ამძიმებს ის გარემოება, რომ კომერციული ბანკების მიერ ამ უზარმაზარი სესხების უდიდესი ნაწილი **სამომხმარებლო და სავაჭრო** კრედიტებზე მოდის. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ სახსრების გარკვეულწილად მნიშვნელოვანი ნაწილი **რეალური ეკონომიკის** განვითარებაზე რომ იყოს მიმართული, მათ საგრძნობი უკუგებაც მოყვებოდა და, ამდენად, შეუდარებლად ადვილი გასასტუმრებელი იქნებოდა. ამჟამად კი, სესხების სტრუქტურის შესახებ მონაცემებით, თუ ვიმსჯელებთ, სამომხმარებლო სესხების ოდენობა აშკარად მეტია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისთვის გაცემულ კრედიტებზე. კონკრეტულად თუ განვიხილავთ, 2016 წლის დამდეგისთვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე მთლიანად მილიარდი 740 მილიონი ლარია გაცემული, კომბანკებიდან გასული სამომხმარებლო სესხების ოდენობა 2 მილიარდ 273 მილიონი ლარი იყო, ვაჭრობის დაკრედიტება კი მილიარდ 730 მილიონი ლარით განხორციელდა. თუ როგორია ამ პირობებში ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, ამას, ვფიქრობთ, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, თებერვალში მოვალეთა რეესტრში დაახლოებით 150 ათასი კაცია რეგისტრირებული, და ეს სია ახალი წლის შემდეგ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 5,5 კაცით გაიზარდა. ექსპერტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ მოვალეთა რეესტრში მოხვედრილთა აბსოლუტური უმრავლესობა დაგირავებული ქონების, მათ შორის ხშირად ერთადერთი საცხოვრისის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშეა. ამის მიუხედავად, რომ მათი სტატისტიკურად სანდო აღრიცხვა, ვინც ბინა უკვე საბოლოოდ კომერციული ბანკიდან გამოტანილი სესხის გასტუმრების პროცესში დაკარგა, არ არსებობს, სავარაუდოდ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მათი რიცხვი 100 ათასი ოჯახი მაინცაა. მიზეზი, უმუშევრობის მაღალი დონის და ეკონომიკური განვითარების არასაკმარისი ტემპის გარდა, საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის, ცხადია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხებზე დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ასევე თავად სასესხო ხელშეკრულებათა მსესხებლისთვის იურიდიულად უაღრესად არახელსაყრელი ხელშეკრულებებია. **ამიტომაც ქვეყნის საბანკო სისტემაში აუცილებელია ისეთი რეგულაციების შემოტანა, რომლებიც მსესხებელთა უკიდურესად მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნისგან მაინც დაიცავს.** იმის გარდა, რომ სესხების დიდი საპროცენტო განაკვეთით მთავარი გამცემები კომერციული ბანკები არიან, გაცილებით მძიმეა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტების ხვედრი და ეს დიდ პრობლემას მარტო ჩვენში არ წარმოადგენს. მრავალი ექსპერტი იმ აზრს გამოთქვამს, რომ **იპოთეკურ სესხებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არ უნდა გასცემდნენ, რადგან ეს მათი კომპეტენცია არ არის — მათი უშუალო საქმეა ბიზნესის სტარტაპების, ანუ სასტარტო კაპიტალის დაფინანსება.** არადა, არსებული მონაცემებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ მიზნით გაცემულია 490 მილიონი ლარის სესხი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისთვის, სამომხმარებლო სესხების ოდენობა კი მილიარდ 120 მილიონი ლარია!

გამოსავლის მოძებნა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის უაღრესად რთული საქმეა, მაგრამ საიმისოდ, რომ ვითარება მერე და მერე კიდევ უფრო არ დამძიმდეს და სამომავლოდ ხალხი „ფინანსური მონობიდან“ შესაძლებლობისდაგვარად იყოს დაცული, საჭიროა ეროვნულმა ბანკმა და შესაბამისმა ორგანოებმა საბანკო სფეროზე კონტროლი გაამკაცროს, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ კანონი ჯეროვნად გააფართოვოს და ქმედითი გახადოს.

ოთარ ტურაბელიძე

როინ მეტრეველი

შვიდ საუკუნოდ განწესებული



რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დღეს ვიწყებთ გამოჩენილი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ნარკვევის — „რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან“ ბეჭდვას, რომელიც ექსკლუზიურად „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისთვის დაიწერა.

ბაგრატ III

„ოქროს ხანის“ დასაწყისი

წინამდებარე ვრცელ ნარკვევში წარმოდგენილია რუსთაველის ეპოქის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორია, ქართულ (ნარატულ, ლიტერატურულ, დოკუმენტურ) და უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატიკური და ეპიგრაფიკული მასალის გათვალისწინებით, ნაჩვენებია ქვეყნის განვითარების სხვადასხვა მხარე ისტორიული პროცესის ფონზე, მოცემულია ის წანამძღვრები, რამაც რუსთაველის ეპოქის საქართველოში წარმოშვა რენესანსული იდეოლოგია და ქვეყანაც მთელს წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ძლევამოსილ (მახვილი მესიისა) სახელმწიფოდ აქცია.

XI საუკუნის დასაწყისისათვის ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანებული სახელმწიფოა და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც განვითარების ახალ, მაღალ საფეხურზე დგას. დავით დიდი კურაპალატისა და ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დასის დიდმა მცდელობამ თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს გაერთიანების მოსურნე ჭეშმარიტ პატრიოტთა გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ ყველასათვის მისაღები კანდიდატი სამეფო ტახტისა დავით კურაპალატის შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი — ბაგრატ III 975 წელს მეფედ გამოაცხადეს ქართლში, ხოლო 978 წელს — დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში). ეს, ფაქტობრივად, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მტკიცე საფუძველი იყო.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანება-ცენტრალიზაციას მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი და საქართველოს ეკლესიის რეაქციული ფრთა, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, XI ს. 60-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკები). პირველთ — დიდაზნაურებს, სამღვდელოების ერთ ნაწილს — თავიანთი გავლენისა და მდგომარეობის დაკარგვა-შეზღუდვა აწუხებდათ, ხოლო მეორეთ — ბიზანტიას, თურქ-სელჩუკებს — საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება.

მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის უთანხმოებამ ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის — ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) დროს იჩინა თავი.

ბაგრატ III მიერ სწორად წარმართული აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად საქართველოს სამეფოს ტერიტორია იზრდებოდა. 1008 წელს, ბაგრატის მამის, გურგენის გარდაცვალების შემდეგ შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ერთიანი საქართველოს მეფის საგამგებლოში შემოვიდა. როგორც ჩანს, ბაგრატ III ყველანაირ ხერხსა და ღონეს მიმართავდა ქვეყნის ტერიტორიის გასაფართოებლად. ენერგიული ზომები გაატარა კახეთისა და ჰერეთის მიმართ, რის შედეგადაც ეს ორი მნიშვნელოვანი მხარეც შემოიერთა.

ურთიერთობა ბიზანტიასთან

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების საპირისპიროდ ბიზანტიის გავლენა მასზე თანდათან სუსტდებოდა. XI საუკუნის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები ერთმანეთთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე შინაპოლიტიკური ბრძოლები თავის გამოხატულებას პოულობდა საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანი პრობლემა XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასთან ურთიერთობა იყო. კავკასიის საკითხს ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა. იყო დრო, როცა ბიზანტია საქართველოსა და სომხეთს მხარს უჭერდა და მათ გაძლიერებაზე ფიქრობდა, რადგან ეს უკანასკნელნი არაბთა სახალიფოსთან დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა. XI საუკუნისათვის, როცა ბიზანტიის იმპერიისათვის არაბთა სახალიფოს საკითხი პრაქტიკულად არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეობას ველარ გაუწევდნენ, ბიზანტიამ უკვე საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებაში დაინახა საფრთხე. აქედან გამომდინარე, მისი დამოკიდებულება კავკასიის ქვეყნებისადმი რამდენადმე შეიცვალა. ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა აქ თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მით უმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა ბიზანტიის იმპერიის დასუსტების დასაწყისი. საიმპერიო კარი დიდი დაძაბულობის შედეგად ახერხებს თავისი სამფლობელოების დაცვას და ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შენარჩუნებას.

ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსგან მხოლოდ ფორმალური აღიარება ბიზანტიის სუვერენობისა და იგი რეალურად ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მისწრაფების აშკარა განხორციელების მაგალითი იყო XI საუკუნის დასაწყისში სამხრეთი ტაოს ტერიტორიაზე (დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოების ბაზაზე) იბერიის თემის შექმნა.

სამხრეთ ტაოს სომხეთისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და შემთხვევითი არ იყო, რომ, როდესაც საქართველო ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაბრუნებას, მას მხარში სომხური სამეფო-სამთავროები ედგნენ.

ბიზანტია-ბულგარეთის ომი და საქართველო გიორგი I

სამხრეთი ტაოს დაბრუნებისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი იყო ბულგარეთის ომი ბიზანტიელთა აგრესიის წინააღმდეგ (1014-1018 წწ.).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბულგარეთის ურთიერთობა ბიზანტიასთან საქართველოს მსგავსად დაძაბული იყო. ბიზანტიას თავისი გარკვეული ინტერესები ჰქონდა ბულგარეთთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1001 წელს დაიწყეს ბიზანტიელებმა ბულგარეთის გეგმაზომიერი დაპყრობა. ბულგარელი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა დამპყრობლის წინააღმდეგ. ბრძოლის ახალი ეტაპი 1014 წლიდან დაიწყო.

საერთოდ, ბულგარელი ხალხის ხანგრძლივმა და ძლიერმა წინააღმდეგობამ წაახალისა სხვა ქვეყნები. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა იმით, რომ ბიზანტია ბულგარეთის პრობლემით იყო დაკავებული, განსაკუთრებით 1014 წლიდან, და ბრძოლა დაიწყო სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის გასათავისუფლებლად და შემოსაერთებლად. ამ ბრძოლას სათავეში საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027 წწ.) ედგა. ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც. გიორგი I-მა ენერგიულად შეუტია და დაიკავა ყველა ციხე, რომელიც დავით კურაპალატმა კეისარს გადასცა.

ბულგარეთის მარცხმა (1018 წელს ბულგარეთი საბოლოოდ დაიმორჩილა ბიზანტიამ) შეცვალა საქართველოს მდგომარეობაც. ბასილმა ტაოს მიწა-წყალი მოიკითხა და სასწრაფოდ მოსთხოვა გიორგი I-ს დაკავებული ციხე-სიმაგრეების დაცლა.

გიორგი I-ს არ შეუსრულებია იმპერატორის მოთხოვნა, რასაც ეს უკანასკნელი განურისხებია და ლაშქარი გაუგზავნია ქართველთა წინააღმდეგ, თანაც დაუვალებია, რომ ძალით დაეპყროთ სადავო ქვეყანა. ქართველებმა ბიზანტიელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ოლთისის ახლოს მომხდურნი გააქციეს.

გიორგი გეგეჭკორის ნახატები

გიორგი I

საქართველოს ლაშქრის სარდლობამ ბიზანტიის ჯარის რაოდენობის შემოწმების შემდეგ მათთან შებმა მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დახევა გადაწყვიტა. გაბრუნებულ ქართულ ლაშქარს ბიზანტიელები დაედევნენ. გიორგი I-მა მტრისთვის ხელის შეშლის მიზნით გადაწვა ქ. ოლთისი. ლაშქრის სარდლობა არ ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას, მაგრამ ბიზანტიელებმა იაქტიურეს, თვითონ შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს შირიმთან 1021 წელს. ბრძოლა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად მომხდარა. ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელთა ჯარები, მაგრამ ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს. ამან უფრო გააქტიურა მტერი. ბიზანტიის ლაშქარმა შეტევა კოლა-არტაან-ჯავახეთზე გამოვლით განავითარა და გაანადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შემოიჭრა. გიორგი I-მა მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველების მომაგრების ანგარიშის გაწევით, ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია და უკან გაბრუნდა, ტრაპიზონში მივიდა და იქ გამოიზამთრა.

ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიასთან ბრძოლისას საქართველოს სხვადასხვა პროვინცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გამოვიდა, ამასთან ქართველმა ფეოდალებმა დაივიწყეს შუღლი, თავიანთი სეპარატისტული განწყობილებები, მტრობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და გიორგი I-ს ამოუდგნენ მხარში. კახეთ-ჰერეთიც კი, რომელთაც ისარგებლეს გიორგი I-ის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსვლით და აღიდგინეს დამოუკიდებლობა, შემდეგ, როგორც მოკავშირენი, ჩაებნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ მსხვილი ფეოდალები — კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი.

მთელი XI საუკუნის მანძილზე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გარკვეული სიმწვავით ხასიათდებოდა, მათი დამოკიდებულებაც მეტ-ნაკლებად დაძაბული იყო.

ბაგრატ IV

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1027 წელს გამეფდა მისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატი (ბაგრატ IV — მეფობდა 1072 წლამდე); „მატიანე ქართლისა-ს“ ავტორი აღნიშნავს, რომ „მასვე ჟამსა (ესე იგი ბაგრატის გამეფებისთანავე (რ. მ.) წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“. ბიზანტიის კეისრის — კონსტანტინესათვის ეს, რა თქმა უნდა, გასახარელი იყო და მანაც „მოქცევასა ოდენ წელიწადისასა გამოგზავნა ურიცხვი ლაშქარი და მოაოხრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოხრნეს“.

1029-1030 წწ. ბიზანტიასთან ზავი დაიდო. ბაგრატის დედის მარიამ დედოფლის თაოსნობით, ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ III-მ საქართველოს ახალგაზრდა მეფეს ცოლად მიათხოვა თავისი ძმის, ბასილის ასული ელენე და მიანიჭა კურაპალატის პატივი. დედოფალი ელენე მალე გარდაიცვალა და ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო ოსთა მეფის ასული ბორენა. მალე ახალი შინაომი დაიწყო.

ბიზანტია ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ საქართველოს ციხე შიგნიდან გაეტეხა. მან ნაწილობრივ შეძლო კიდეც მოსახლეობის დაბალი ფენების თვალში თავისი მძარცველური პოლიტიკა გაემართლებინა.

იხ. 6 გვ.

ბაგრატ IV

გიორგი II „დიდი თურქობა“

ბაგრატ IV 1072 წლის 24 ოქტომბერს გარდაიცვალა. ტახტი დაიკავა გიორგი II-მ. აღსანიშნავია, რომ გამეფებისას გიორგი II უკვე ატარებდა კურაპალატის ტიტულს (ბაგრატ IV ჯერ კურაპალატის, შემდეგ ნოველისიმოსის, ხოლო ბოლოს სევასტოსის ტიტულს ატარებდა).

„მატიანე ქართლისაში“ საგანგებოდაა ხაზგასმული ის მძიმე და რთული მდგომარეობა, რომელშიაც ერთიანი საქართველო XI საუკუნის შუა წლებში იმყოფებოდა: „ხოლო ჟამთა მისთა (ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაში – რ. მ.) ქვეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს. ქვეყნის ასეთი მძიმე და დაძაბული მდგომარეობა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მწვავე პოლიტიკური და შინაპოლიტიკური ბრძოლით, რომელიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა, ხოლო, მეორე მხრივ, გართულებული საგარეო ვითარებით (ბიზანტიასთან და თურქ-სელჩუკებთან ურთიერთობა). ასე რომ, გიორგი II-მ მოღვაწეობა მეტად რთულ პირობებში დაიწყო. იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც მან მიიღო, ძალზე სერიოზული და ქმედითი ზომების გატარება თუ გამოასწორებდა.

(მეხუთე ბოლოდან) კერძოდ, ბიზანტიის მთავრობამ თავის ჯარს გამოაყოლა ტახტის მაძიებელი დემეტრე (ამგვარ ხერხს ბიზანტიელები ადრეც მიმართავდნენ). ეს უკანასკნელი საქართველოდან გაქცეულიყო და ბერძნებს შეჰკედლებოდა. სამხრეთი საქართველოს ბევრი დიდი ფეოდალი მიემხრო დემეტრეს. საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლა კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის მეთაურობით წარმოებდა. ბაგრატ IV მტერთან მორიგდა: ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა. ბიზანტიელთა ჯარი და დემეტრე გიორგის ძე კი იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის ურთიერთობის ნათელი მაჩვენებელია „მატიანე ქართლისა-ში“ დაცული 1047 წელს სასირეთის ჭალასთან ბრძოლის ეპიზოდი. იგი საინტერესოა იმითაც, რომ ბრძოლაში ვარიაგთა („ვარანგთა“) რაზმიც იღებდა მონაწილეობას. თხზულებაში აღნიშნულია: „... და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა, მესხნი ვერღარა მოილოდინეს, მოვიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი, და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“.

ვარანგები შავი ზღვითა და შემდეგ მდინარე რიონით გამოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მდ. რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ IV-ის სატახტო რეზიდენციაც ხომ დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში იყო).

საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან ისე გართულდა და გამწვავდა, რომ ბაგრატ IV არათუ ემორჩილებოდა კეისარს, არამედ სერიოზულ მეტოქეობასაც უწევდა მას. ბაგრატმა ლიპარიტის დამორჩილებაც მოახერხა. მისი გამთავრებით უკმაყოფილო მესხმა აზნაურებმა 1058 წელს შეიპყრეს ეს ურჩი ფეოდალი და მეფეს მიჰგვარეს. ეს ფაქტი ბიზანტიის პოლიტიკის მარცხი იყო, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში კი – წინ გადადგმული ნაბიჯი.

XI საუკუნის 60-70-იან წლებში საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი უშუალო მიზეზი თურქული მოდგმის ტომების, სელჩუკების გამოჩენა იყო.

„დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს“ დამაარსებლის – თოღრულ-ბეგის (1038-1063 წწ.) მემკვიდრემ და საქმის გამგრძელებელმა სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები ბაგრატ IV-ის წინამძღოლობით მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. ალფ-არსლანი შეცვალა მალიქ-შაჰმა (1072-1092 წწ.), რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა „დიდ სელჩუკთა სახელმწიფო“.

თურქ-სელჩუკების შემოსევები უდიდეს ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს.

როინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია

გიორგი II-ს გამეფების (1072 წ.) შემდგომ ძალზე ცოტა ხნით მოუხდა მშვიდობიანად ყოფნა. მას განუდგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები – ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი. „მატიანე ქართლისაჲ“ გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ თავადებმა ისარგებლეს გიორგი II-ის „სიყრმით“ (ახალგაზრდობით) და „აუშალეს ქვეყანა“. დიდგვაროვან ფეოდალთა ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო (გიორგი 1072 წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა გამეფებულიყო. ამ დროიდან დიდგვაროვანთა გამოსვლამდე კი ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი იყო გასული).

„დიდი თურქობა“ საქართველოში

ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა და „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე“. ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია („მოირთნა კახნი“) და ქსნისპირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია. 1073 წლის ფეოდალთა განდგომის სირთულეს საქართველოს სამეფოსათვის მისი გეოგრაფიული მასშტაბების სივრცელეც განაპირობებდა. ბუნებრივია, კახელების მოშველიება და მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმა, სვანთა აჯანყება თუ სხვა (ქუთაისის საჭურჭლის მიტაცება, ქსნისპირის დაპყრობა), გამდგარ ფეოდალთა მიერ საკმაოდ დიდი ხნის მუშაობის შედეგი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე სწრაფად ეს გამოსვლა დიდი მასშტაბისა ვერ გახდებოდა. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ დიდგვაროვან ფეოდალთა 1073 წლის ზაფხულის გამოსვლა წლების მანძილზე მზადდებოდა. ამასთანავე, გამოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (კახელები, სვანები) სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის უკმაყოფილები იყვნენ და მის წინააღმდეგაც გამოდიან. აქ მარტო ვარდან სვანთა ერისთავის ან ივანე ლიპარიტის ძის ავტორიტეტი ვერ შეასრულებდა გადამწყვეტ როლს მეფის წინააღმდეგ მათი გამოსვლისათვის. როგორც ჩანს, უკვე იყო გარკვეული წინაპირობები იმისა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი დაპირისპირებოდა სამეფო ხელისუფლებას.

საქართველოს სამეფო კარმა, გიორგი II-მ, როგორც ირკვევა, კარგად აწონდაწონეს შექმნილი ვითარება და დაიწყეს ღონისძიებების გატარება განდგომილთა დასამორჩილებლად. გიორგი II-მ გამდგარი დიდგვაროვნები დაიმორჩილა. „მატიანე ქართლისაჲ“ აცხადებს: „... გიორგი მეფემან სძლია სიკეთითა, სიბრძნითა და ძჳრუხსენებელ იქნა“. ურჩი ყმების „წყალობით დაფარვა“, მართალია, თუ სრულიად არა, მცირედ მაინც უკან დახევა იყო სამეფო კარისა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში (როგორც საშინაო, ასევე საგარეო თვალსაზრისით) ჩავარდნილი ქვეყნისათვის საჭირო იყო.

გიორგი II-ს, როგორც ჩანს, გარდა ძალისა, დიპლომატიაც ფართოდ გამოუყენებია. საქართველოს მეფემ მიზანშეწონილად არ მიიჩნია დიდ ფეოდალებთან მტრულ ურთიერთობაში ყოფნა (აქ იგი რთულ საგარეო მდგომარეობასაც გარკვეულ ანგარიშს უწევდა) და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე დამორჩილებული ჰყავდა, გადაწყვიტა რაღაც დათმობებზე წასულიყო. ეს დათმობა კი იმაში გამოიხატა, რომ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, ხოლო მის ვაჟს ლიპარიტს მისცა ლოწობანი რუსთავის ნაცვლად (ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა). ნიანია ქვაბულის ძემ საჩუქრად მიიღო თმოგვი „და სხუანი საქონელნი რჩეულნი“. ვარდან სვანთა ერისთავმა „ასკალანა და უთაღუბო ჯაყელთა“ მიიღო.

ამგვარად, გიორგი II-მ „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი“.

საქართველოს მეფის მიერ გაცემული წყალობის საფასურად ქვეყნის შიგნით გარკვეული დროის მანძილზე მშვიდობიანობა იქნა მოპოვებული. ეს მშვიდობიანობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გიორგი II ქუთაისიდან სასწრაფოდ გადავიდა სამცხეში, საიდანაც მესხთა ლაშქრით სამშვილდეს მიადგა. აქ მას მაშველად კახთა მეფე აღსართანი მიუვიდა. ბუნებრივია, გამდგარი ფეოდალი ასეთ ძალებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა: „ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა“. ამის შემდეგ აღსართანის შემწეობით ლიპარიტს ლოწობანი წაართვეს და სამეფოს შეერთეს. გიორგი II აქედან ჯავახეთში გადავიდა, სადაც მეფესა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის შეთანხმება მოხდა, ფეოდალმა ერთგულება შეჰფიცა მეფეს, თვითონ კი კლდეკარისა და სამშვილდის ერისთავად იქნა დამტკიცებული.

გაორგულებული ივანე, როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს მხოლოდ სიტყვით უცხადებდა თავის მორჩილებას, სინამდვილეში კი არცერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ მეფისათვის ემტრო. თანაც ივანე ლიპარიტის ძის მოქმედება სცილდებოდა საკუთარი თავისა და საგვარეულოს განდიდებისათვის ლტოლვას; ეს დიდგვაროვანი ფეოდალი ყოველგვარ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში გამოიყენოს უცხო ძალებიც. აქ აშკარაა შინაპოლიტიკური ბრძოლის მწვავე საკითხების საგარეო ურთიერთობის პრობლემებში გადახლართვა. საქართველოს მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის არსებულმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ თავისი გამოვლინება საგარეო პოლიტიკაშიც ჰპოვა.

ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი განდგომაც 1074 წელსვე უნდა მომხდარიყო („კუალადცა გადგა ივანე“). ამჯერად მან გიორგი მეორის მეციხოვნეებს გამოსტყუა ქალაქი გაგი და განძის პატრონს ფადლონს გადასცა გარკვეულ საფასურად. ივანე ლიპარიტის ძე ცდილობს გარეშე მტერთან კავშირურთიერთობის დამყარებით გაიმაგროს თავისი პოზიციები ქვეყანაში. თუ არა ამას, სხვა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს სულთანი მალიქ-შაჰი (1072-1092 წწ.), მთელი საქრისტიანოს მტრად მონათლული, გამოემართა თუ არა საქართველოსკენ დიდძალი ლაშქრით, ივანემ თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება წინ და „შეაწყნარა სულტანსა“, ამით ივანე გარკვეული ნდობის მოპოვებას ცდილობდა სულთნის წინაშე. ამავე მიზნით იგი მცირე ხანს სულთანთან დარჩენილა კიდეც. საფიქრებელია, რომ სულთანმა მალიქ-შაჰმა ივანე ლიპარიტის ძეს რაღაც დიდი სამსახური მოსთხოვა, რომლის შესრულება ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო და იძულებულიც კი გახდა სულთნის კარიდან გამოპარულიყო. ამ ამბავს ძალზე განურისხებია მალიქ-შაჰი და ივანეს მკაცრად დასჯა განუზრახავს. ეს რომ სწორედ ასეა, ისიც მიგვანიშნებს, რომ მალიქ-შაჰმა თავისი დაპყრობითი საქმიანობა საქართველოში სწორედ ივანეს მამულით დაიწყო: „და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა და წარუღო სამშვილდე, და ტყუე იქნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან“ („მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 298).

მალიქ-შაჰი რისხვად მოევლინა საქართველოს. სამშვილდის აღების შემდეგ მოარბია ქართლი, დიდი ნადავლი შეკრიბა და უკან გაბრუნდა. შემდგომ განძას დაესხა, ფადლონი ციხეში გამაგრდა, მაგრამ ვერ გაუძლო მტრის ესოდენ ძლიერ დაწოლას და იგი შეპყრობილ იქნა. განძის მმართველად მალიქ-შაჰმა სარანგი დასვა, თან 48-ათასიანი ლაშქარი დაუტოვა. ამ უკანასკნელს ბევრი არ დაუყოვნებია და „ყოვლითა ლაშქრითა მისითა“, აგრეთვე განძის, დვინისა და დმანისის ამირების თანადგომით წელგამართული მოადგა საქართველოს.

საქართველოს მეფე გიორგი II სარანგის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არ დაუბნევია (შეიძლება იგი ელოდა კიდეც ამას). მან შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, მოიშველია აღსართან კახთა მე-

ფე და ამგვარად მომძლავრებული მტერს ფარცხისთან დახვდა. დიდი ბრძოლა საქართველოს ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა.

გიორგი II-ის ამ ძლევამოსილი გამარჯვების შესახებ საგანგებოდ მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც („რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის“). მეტად რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობის დროს გიორგი II-ის მიერ ფარცხისთან ძლევამოსილი გამარჯვება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა საქართველოს მეფეს, სხვა ღონისძიებებიც განეხორციელებინა. გიორგი II-მ აიღო ანაკოფია და „მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა“. „მატიანე ქართლი-



სამშვილდის ციხე

საჯს“ მიხედვით გიორგი II-ს აუღია კარის ციხე-ქალაქი („ციხე-ქუეყანა“) და „სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი“, ხოლო თურქები გაუქცევია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კარის შემოერთებას საქართველოს სამეფოსთან გრიგოლ ბაკურიანის ძის სახელთან აკავშირებს. „ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა (გიორგი მეფის წინაშე — **რ. მ.**) ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისნი მიმდგომი ქვეყანა“.

საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებამ (ბიზანტიელებმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინციებზე თავიანთი გავლენა თურქ-სელჩუკების სასარგებლოდ დათმეს) ახალი საფრთხე შეუქმნა საქართველოს: ახლა მტერი ორი მხრიდან (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) ერტყა მას. თურქ-სელჩუკები სასტიკად ექცეოდნენ საქართველოს მოსახლეობას: არბევდნენ, წვავდნენ, აოხრებდნენ, აჩანაგებდნენ მეურნეობას, ქრისტიანები ტყვედ მიჰყავდათ.

საქართველოს მოსახლეობას არანაკლებ ზიანს აყენებდა მოღალატური გამოსვლები — „შინათგამცემლობა“. სწორედ „შინაგამცემითა ქრისტიანეთათა“ ყველის ციხის გარემდგომს გიორგი II-ს თავს დაესხნენ დიდძალი თურქ-სელჩუკები ამირა აჰმადის მეთაურობით. გიორგი II იძულებული გახდა, თავის ლაშქართან ერთად გაქცევით არიდებოდა დიდძალ მტერს. თურქ-სელჩუკებმა იავარჰყვეს საქართველოს დიდი ნაწილი, აურაცხელი ალაფი აიღეს და წავიდნენ.

XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი თურქ-სელჩუკთა ურიცხვი ბრბოების ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელს ასახელებს („რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი“). კალიასავით შეესიენ თურქები საქართველოს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“. ერთ დღეს დაუწვავთ თურქ-სელჩუკებს ქუთაისი, არტანუჯისა და კლარჯეთის უდაბნონი. თოვლის მოსვლამდე დარჩნენ თურქ-სელჩუკები, მოჭამეს მთელი ქვეყანა და წავიდნენ. ასე გრძელდებოდა: გაზაფხულობით მოდიოდნენ თურქ-სელჩუკები, აოხრებნდნენ ქვეყანას, ზამთრის მოახლოებისას კი უკან ბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი ძალზე მძიმე საფრთხის წინაშე დადგა — თურქ-სელჩუკების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. თურქული მომთაბარული მეურნეობა საფუძველს აცლიდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას, რაც ქვეყანას ერთიანად გადაშენებას უქადდა. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ...

მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლის ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“.

გიორგი II ხედავდა ამ მძიმე მდგომარეობას (როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებში) და ცდილობდა გამოსავალი მოენახა, რათა ქვეყანა საბოლოოდ განადგურება-გაჩანაგებას გადაერჩინა. მეფემ მოიწვია დიდებულები და მათთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა ხლებოდა სულთან მალიქ-შაჰს. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო და, ალბათ, ერთადერთი სწორი გზაც შექმნილ ვითარებაში. ერისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით საქართველოს სულთნის ყველა მოთხოვნა უნდა შეესრულებინა.

საქართველო და მისი მეფე გიორგი II გამონაკლისი როდი იყო, რომელიც მიეახლა სულთანს და თურქ-სელჩუკების სასარგებლოდ ხარკის მიცემა იკისრა.

თურქ-სელჩუკების შემოსევებმა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სომეხი ხალხი. სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ფილარეტ ვარაჟნუნი, რომელიც მანაზკერტის ბრძოლის (1071 წ.) შემდეგ კილიკიის მმართველი გახდა, ქვეყნის გადარჩენის მიზნით, 1086 წელს დიდი ძღვნით ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და მორჩილება გამოუცხადა. ფილარეტ ვარაჟნუნის ასეთმა ცდამ ვერ გაჭრა — მის მიერ შექმნილი სომეხთა სამთავრო თურქ-სელჩუკების ხელთ გადავიდა. ამდენად, ფილარეტ ვარაჟნუნის მისია მარცხით დამთავრდა.

რაც შეეხება მეზობელ აზერბაიჯანს, მას შემდეგ, რაც მალიქ-შაჰმა განძა აიღო და მისი მმართველი ფადლონი (ფაზლუნი) ტყვედ ჩაიგდო, ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ ფარიბურზ შირვან-შაჰი ეახლა მალიქ-შაჰს (მაშინ როცა ამ უკანასკნელმა არანზე გაიარა) და ერთდროულად სამოცდაათი ათასი დინარი ხარკის სახით გადაიხადა, ყოველწლიურად კი ორმოცი ათასი დინარის გადახდა იკისრა. მოღწეულია ფარიბურზ შირვან-შაჰის რამდენიმე მონეტა, რომლებზედაც აღნიშნულია სულთან მალიქ-შაჰისა და ხალიფა ელ-მუსთაზჰირ-ბილლაჰას სახელები, რაც ხაზს უსვამს შირვანის თურქ-სელჩუკებისადმი დაქვემდებარებას.

ანონსი

მომდევნო ხუთშაბათს, 3 მარტს, წაიკითხეთ ნარკვევის გაგრძელება „სიმხნე, სიძველე და სული საუფლო... დავით აღმაშენებელი“.

„ოტელ დრუოში“ აუქციონზე გაყიდული საქართველოს ფოტოები



მე-19 საუკუნის საქართველოს ფოტოები პარიზის აუქციონზე 2000 ევროდ გაიყიდა. ინფორმაციას საფრანგეთში მცხოვრები ისტორიკოსი და მკვლევარი ანა ჭეიშვილი ავრცელებს.

პარიზის ცნობილ სააუქციონო სახლში — „ოტელ დრუო“, გაიმართა აუქციონი, სადაც წარმოდგენილი იყო 1899-1906 წლებში სამხრეთ კავკასიაში გადაღებული ფოტოები.

ფოტოების ავტორი უცნობია. უმეტესობას ახლავს ფანქრით შესრულებული მინაწერი. ფოტოების დიდი ნაწილი გადაღებულია ალავერდის სპილენძის მაღაროში (სომხეთი). 192 ფოტოდან დაახლოებით 67 ფოტო გადაღებულია საქართველოში: ბათუმის პორტი — 10 ფოტო, ტფილისი — 22 ფოტო, ფოთის პორტი — 4 ფოტო.,სოხუმის სანაპიროსთან — 8 ფოტო, შავ ზღვაზე — 4 ფოტო, გორი — 2 ფოტო, სადახლო — 1 ფოტო, საქართველოს სამხედრო გზა — 16 ფოტო (ყაზბეგი, დუშეთი, გუდაური, ანანური, მცხეთა...) ფოტოები, რომლებიც აუქციონზე ერთ ლოტად იყო გატანილი, ონლაინმყიდველმა შეიძინა.

მომავალ წელს გუდაურში რედისონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნება

2017 წელს კომპანია „Red-co“ გუდაურში რედისონის ხუთვარსკვლავიან სასტუმროს გახსნის. სასტუმროს გახსნასთან დაკავშირებით რედისონის წარმომადგენლებმა კარლსონ რეზიდორმა, დევიდ ჯენკინსმა და კომპანია „Red-co“-ს დირექტორმა მირიან ქათამაძემ ხელშეკრულებას ოფიციალურად მოაწერეს ხელი.

პროექტის ფარგლებში კომპანია 15 მილიონი დოლარის ინვესტირებას მოახდენს. ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია სასტუმროს კორპუსის მშენებლობა და მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები.

სასტუმროში განთავსდება 105 ნომერი, ასევე რამდენიმე რესტორანი, სპა, ღია და დახურული საცურაო აუზი და ყველა ის საჭირო ინფრასტრუქტურა, რაც მაღალი კლასის სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელია.

კომპანია „Red-co“-ში იმედოვნებენ, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც გუდაურში პირველად გაიხსნება, კურორტს კიდევ უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლებისათვის.

განახლებული რუკებითა და გზამკვლევებით — მზიურ აჭარაში

ზაფხულის სეზონზე ტურისტებს აჭარის განახლებული რუკებისა და გზამკვლევების გამოყენების საშუალება ექნებათ. პროექტებზე მუშაობა ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ უკვე დაიწყო. წინა წელს არსებულ ბათუმის რუკას განახლებისას მუნიციპალური ტრანსპორტის სქემა დაემატება, რაც ტურისტებს ქალაქში გადაადგილებასა და ორიენტაციას გაუმარტივებთ. გარდა ამისა, იგეგმება სამი რუკის ერთში განთავსება, რაც ბათუმის, აჭარისა და საქართველოს რუკების გაერთიანებას გულისხმობს.



წინა წლის მსგავსად ასევე დაგეგმილია ბათუმის, აჭარის სამენოვანი გზამკვლევის დაბეჭდვაც, რომელიც წარმოადგენს მოკლე, პრაქტიკულ და ტურისტების საჭიროებებზე მორგებულ ძირითად გზამკვლევს. ის მოიცავს სრულ ინფორმაციას აჭარის ღირსშესანიშნაობების, მაღალმთიან აჭარაში მოგზაურობის, კულინარიის, სასტუმროების, გასართობი ცენტრებისა და რესტორნების, ასევე ობიექტებზე მისვლის მარშრუტებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

საქართველოში ამერიკულ სატელევიზიო სერიალს გადაიღებენ

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ მეწარმეობის სააგენტოდან აცნობეს, სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის ფარგლებში პირველი განაცხადი ამერიკულმა კომპანიამ Noirtainment უკვე დაარეგისტრირა. სერიალის პროდუსერი გელა ენდრიუ სული იქნება.

„სერიალის სიუჟეტი ასეთია: ამერიკელი ჟურნალისტი გაიგებს, რომ წარმოშობით ქართველია და სწორედ წარმომავლობის გასარკვევად ჩამოდის საქართველოში, სადაც უკვე ძირითადი სცენარი ვითარდება“, — განმარტავენ სააგენტოში.

სერიალის გადაღებები უახლოეს მომავალში დაიწყება. აღნიშნული პროგრამის პირობებიდან გამომდინარე, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის მსურველი, ანუ მეწარმეობის სააგენტოში განცხადების ავტორი საქართველოში რეგისტრირებული ფირმა უნდა იყოს. ამიტომ ქართული შპს „ალიონი“ შეიქმნა, რომლმაც ამერიკული Noirtainment-ის მოთხოვნით სააგენტოში განაცხადი შეიტანა.

გარდა ამისა, უწყების ინფორმაციით, ე.წ. Cash Rebate მექანიზმის გაცნობისა და, ზოგადად, კომპონენტის პოპულარიზაციის კუთხით, აქცენტი კეთდება სამიზნე კინობაზრებზე ამერიკისა და ინდოეთის მასშტაბით, სადაც Road Show-ების გამართვის გზით პროგრამის უშუალოდ წარდგენა მოხდება. პრეზენტაციები უახლოეს მომავალში ინდოეთში, კანსა და ლოს-ანჯელესში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ კინოინდუსტრიის განვითარების პროგრამის მიხედვით, კომპანიებსა და პროდიუსერებს საქართველოში გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-დან 25%-მდე აუნაზღაურდებათ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს თავისი არმიით მხოლოდ ტრაბახი შეუძლია!

რუსულ გამოცემა „Военно-промышленый курьер“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულ-გაანალიზებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის ისტორია, გადმოცემულია აგრეთვე ქართული არმიის თანამედროვე მდგომარეობა: შეიარაღების ტექნიკური მაჩვენებლები, სტატისტიკა და ა.შ.

მასალის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:

„საქართველოს შეიარაღებული ძალები, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების არმიები, სრული ქაოსის პირობებში იქმნებოდა: ქართული არმია საბჭოური არმიის ნაშთებისა და სახალხო მოლაშქრეთა სინთეზს წარმოადგენდა. თუმცა, სხვებთან შედარებით, ქართულ არმიას ადგილობრივი სპეციფიკა დაემატა: 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ სამმაგი სამოქალაქო ომი გადაიტანა – სამხედრო დაპირისპირება თბილისში, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტების დაწყება.

პირველმა ომმა დანარჩენი ორი ომის წაგებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამის შემდეგ, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ქართული არმია, თავისი არსით, კანონიერ ბანდიტურ ფორმირებას წარმოადგენდა, რომელიც უკიდურეს დაუფინანსებლობას განიცდიდა და აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი იყო.

2003 წლის ბოლოს საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში და კერძოდ არმიაში, რადიკალური ცვლილებები მოხდა: საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების კვალობაზე, არმიის დაფინანსება გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, გამოჩნდა დასავლური დახმარების შედეგებიც. გარდა ამისა, თვითონ საქართველომაც მასობრივად დაიწყო იარაღის შესყიდვა როგორც დსთ-ის ქვეყნებში (უკრაინაში), ასევე დასავლეთის სახელმწიფოებში (ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბეთი, თურქეთი, ისრაელი, აშშ), თუმცა, ეს იარაღი ძირითადად საბჭოური წარმოებისა იყო, რომლებიც მოგვიანებით დასავლური სტანდარტებით იქნა მოდერნიზებული. არმიის შევსება საკონტრაქტო წესით ხდებოდა, რაც, პრაქტიკულად, პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას მოასწავებდა. ზოგადად, ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები ედუარდ შევარდნაძის ეპოქიდან საკმაოდ შორს წავიდნენ, თუმცა, ცხადია, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნდათ იმის პოტენციალი, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი გაეკონტროლებინათ და, მით უმეტეს, წინააღმდეგობა გაეწიათ რუსეთის არმიისათვის.

მიხეილ სააკაშვილი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მან – როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა – თანამედროვე პროფესიული არმია ჩამოაყალიბა, რომელიც ელვისებურად გაანადგურებდა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სამხედრო ქვედანაყოფებს და თუ საქმეს დაჭირდებოდა, რუსეთის არმიასაც ზედ მიაყოლებდა. იმ იშვიათ შემთხვევაში კი, თუ სიტუაცია რატომღაც გართულდებოდა, საქართველოს დასახმარებლად ნატო თავისი უდიდესი ძალებით დაუყოვნებლივ მოვიდოდა და თბილისს მოწინააღმდეგის განადგურებაში დაეხმარებოდა.

2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით საქართველოს არმიამ შეტევა დაიწყო, სამხრეთ ოსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი ცხინვალიდან ჯავაში გაიქცა.. ამის მიუხედავად, ქართველ ჯარისკაცებს ქუჩის ბრძოლებში ჯერ ოს მოლაშქრეებთან მოუწიათ წინააღმდეგობის გაწევა, შემდეგ კი ომში რუსეთის არმიის ნაწილები ჩაებნენ..

ყველა პრობლემის მიუხედავად, ომი ქართული ე.წ. „თანამედროვე პროფესიული არმიის“ გამანადგურებელი მარცხით დასრულდა. ქართული არმია ბრძოლების მესამე დღეს, ფაქტიურად, დაიშალა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა და მოწინააღმდეგეს უდიდესი რაოდენობის იარაღი დაუტოვა, მათ შორის სრულიად გამართული მძიმე ტექნიკაც და არტილერიაც.

ნატოს კი, რასაკვირველია, თითიც არ გაუნძრევია საქართველოს დასახმარებლად. თუ გავითვალისწინებთ რეალობას და არა პროპაგანდას, ეს თავიდანვე ძნელი გამოსაცნობი არ იყო. უფრო მეტიც – ომის შემდეგ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა არაოფიციალურად მკაცრი კონტროლი (მორატორიუმი) დააწესა საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის შეზღუდვაზე. ასე რომ, ის განცხადებები, რომლებიც ხანდახან გაისმის - საქართველომ ყოფილი სამხედრო ძლიერება ისევ აღიდგინაო, სინამდვილეს არ შეესაბამება და აბსურდულია.

რასაკვირველია, საქართველოს ნატოში მიღებაზე ლაპარაკი აბსურდულია, ფორმალური მიზეზების საფუძველზეც კი: ამ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები მოგვარებული არა აქვს. რეალური მიზეზები კი ისაა, რომ არც შეერთებულ შტატებს და არც ევროპის სახელმწიფოებს ვიღაც საქართველოსთვის რუსეთთან ომი არ სურთ, ამის თეორიული რისკის დაშვებაც კი არ უნდათ. მით უმეტეს, არანაირი შანსი არ არსებობს იმისა, რომ თბილისმა საკუთარი ძალებით აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დაიბრუნოს (ნუ დავუჯერებთ მასმედიის ზოგიერთ საშუალებას, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველო რევანშის ასაღებად ემზადებაო!). საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არანაკლებ პროდასავლური და ანტირუსულია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის მთავრობა იყო, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისათვის ეს მაინც პოლიტიკური კურსია და არა ის ფსიქოლოგიური ავადმყოფობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ახასიათებს. თბილისი არანაირ ომს არ გეგმავს, რადგან აცნობიერებს მის შედეგებს.

მაგრამ არის ერთი „მაგრამ“: სრულიად სხვა სიტუაცია ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთისა და თურქეთის სამხედრო კონფლიქტი დაიწყება (ეს ამ ეტაპზე ნაკლებად რეალურია, მაგრამ მაინც). საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ორ მოწინააღმდეგე ძალას შორის მოექცევა და მას რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის (სომხეთში) ბლოკირება შეუძლია. ამ თვალსაზრისით თბილისი უკვე ავტომატურად ანკარის მხარეზე აღმოჩნდება. საქართველოს შეიძლება თავისი ყოფილი ავტონომიების დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს და ამ მიზნით თურქეთს დასახმარებლად მიმართოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში თბილისი თვითონ გამოიწვევს საკუთარ თავზე რუსეთის სრულმასშტაბიან დარტყმებს და 2008 წლისაგან განსხვავებით, კრემლი რუსულ არმიას თბილისიდან 40 კილომეტრზე აღარ გააჩერებს, პირიქით – საქართველოს შუაზე გაჭრის და სომხეთთან პირდაპირ კავშირს დაამყარებს.

ძნელი სათქმელია, ამით დასრულდება თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრიობა ან ქვეყანა კიდევ რომელიმე ტერიტორიას დაკარგავს თუ არა (მაგალითად, აჭარას ან სომხებით დასახლებულ ჯავახეთს), მაგრამ ეკონომიკური ზარალი რომ გიგანტური იქნება, ამაზე ორი აზრი არაა. საქართველოს შეიარაღებული ძალები საბოლოოდ შეწყვეტენ არსებობას, ქართველებმა კი ავტონომიების დაბრუნებაზე ფიქრიც უნდა დაივიწყონ.

ალექსანდრ ხრამჩიხინი,
მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

დედამიწის ზურგზე

რუსეთის ფედერაციამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ორი პროექტი მოამზადეს სირიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

რუსეთმა შესთავაზა, მიიღონ გაეროს უშიშროების საბჭოში რეზოლუცია ადრე მიღებული შეთანხმების მხარდასაჭერად, რომელიც შეთანხმებული იყო შეერთებულ შტატებთან, იტყობინება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გენადი გატილოვი. როგორც დიპლომატი აღნიშნავს, „ჩვენს საერთო ინტერესებშია, რომ რეზოლუცია მიღებული იქნეს, რაც შეიძლება მალე“.

გარდაიცვალა ფიდელ კასტროს უფროსი ძმა

რამონ კასტრო, რომელიც ასევე ცნობილია როგორც მონგო, იყო კუბაში რევოლუციის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობდა. იგი პასუხისმგებელი იყო იარაღისა და სურსათის მიწოდებაზე, ამზადებდა სათბობს სპირტის საფუძველზე, როდესაც ქვეყანაში ბენზინი არ კმაროდა.

ამერიკელმა ქალმა მიიღო დონორის თირკმელი მისი არასტანდარტული მიდგომის წყალობით...

ქალბატონი აწარმოებდა სარეკლამო კამპანიას საკუთარი მანქანიდან, აგრეთვე აყენებდა ნიშნებს მოწოდებით დახმარებოდნენ მას. თხოვნას დახმარების შესახებ 50-ზე მეტი კაცი გამოეხმაურა და 2 მათგანი აღმოჩნდა შესაფერისი დონორი. ექიმებმა უკვე დაიწყეს მზადება მისი ოპერაციისათვის.

დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა კიდევ ერთ შტატში

ტრამპმა რესპუბლიკელთა არჩევნები დაამთავრა ნევადაში დიდი უპირატესობით ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებთან თედ კრუზსა და მარკო რუბიოსთან, მოაგროვა ხმების 42 პროცენტი. კენჭისყრაში ამომრჩეველთა რეკორდულმა ოდენობამ მიიღო მონაწილეობა.

ნეპალში თვითმფრინავი დაიმსხვრა, რომლის ბორტზეც 23 კაცი იყო

დისპეტჩერებმა დაკარგეს კავშირი თვითმფრინავთან აფეთქებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. თვითმფრინავის ნამსხვრევები აღმოაჩინეს, კატასტროფაში გადარჩენილი არავინაა. ბორტზე იმყოფებოდნენ ეკიპაჟის 3 წევრი და 20 მგზავრი, მათ შორის 2 უცხოელი.

WSJ: დაზვერვის ცენტრალური სამმართველო და პენტაგონი აყენებენ ნინადადებას - მომზადდეს „გეგმა ბ“ სირიაში ზავის ჩაშლის შემთხვევისათვის

გამოცემის მონაცემებით, პენტაგონის უფროსმა ეშტონ კარტერმა, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ ჯოზეფ დანფორდმა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უფროსმა ჯონ ბრენანმა თეთრ სახლში ამას წინათ გამართულ შეხვედრაზე გამოთქვეს „უკიდურესად მებრძოლი შეხედულებები“ მოსკოვთან დაკავშირებით და მოუწოდეს, „შექმნან რეალური უსიამოვნებები რუსებისათვის.

◎ ნახევარსაქმე?!

ასე წახალისდება წარმოება და დასაქმება?

ბიზნესის ნაწილი მთის კანონით ვერ ისარგებლებს

მთის კანონი უკვე ამოქმედდა, მაგრამ საწარმოების საკმაო ნაწილი კანონით განსაზღვრული შეღავათებით ვერ ისარგებლებს.. არადა, ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, მთიან რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნა და წარმოების წახალისება გახლდათ.

ის მეწარმე, რომელიც მაღალმთიან რეგიონში საქმიანობს, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების შემდეგ საშემოსავლო გადასახადისგან 10 წლით თავისუფლდება და მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო არ დაუბეგრავს. ასეთი საწარმო 10 წლით თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისგან. საყურადღებოა, რომ ქონების გადასახადისგან ასევე თავისუფლდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის საკუთრებაში არსებული, ამავე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, დაინტერესებულმა კომპანიებმა მთის საწარმოს სტატუსის მინიჭებისათვის უნდა მიმართონ შემოსავლების სამსახურს, რის შემდეგაც დამუშავებულ პროექტს საქართველოს მთავრობას წარუდგენს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობა მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების შესახებ.

ახლადამოქმედებული კანონის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, მთიან რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნა და წარმოების წახალისება გახლდათ. თუმცა საგადასახადო შეღავათებით ვერ ისარგებლებენ ის მეწარმეები, რომლებიც ახორციელებენ შემდეგ საქმიანობებს: საქონლით ვაჭრობა, მომსახურების გაწევა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება) და ლიცენზირებისადმი – ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა.

ეს ნიშნავს, რომ შეღავათებით ვერ ისარგებლებენ სასტუმროები, მათ შორის, „გესტ ჰაუსები“, რესტორნები, მაღაზიები, ბანკები, აფთიაქები და ა.შ. შესაძლებელია, რომ გარკვეული გამონაკლისები იყოს დაშვებული ვაჭრობისა და მომსახურების მიმართულებით, თუკი შესაბამის გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ძირითადად სწორედ ზემოჩამოთვლილი სეგმენტი არის მეტ-ნაკლებად წარმატებული.

მაინც რატომ არ ითვალისწინებს კანონი შეღავათებს ქსელური კომპანიებისთვის, რომლებიც მაღალმთიანი რეგიონების გარდა საქართველოს სხვა ტერიტორიაზეც საქმიანობენ? ასევე, რატომ არ ვრცელდება საგადასახადო შეღავათები მომსახურების გამწევ და სავაჭრო საქმიანობით დაკავებულ კომპანიებზე?

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ქსელურ კომპანიებს გაუჭირდებათ დამოუკიდებლად ბუღალტერიის წარმოება მხოლოდ მაღალმთიან რეგიონში განლაგებული ობიექტებისთვის და ძნელი იქნება ხარჯების გამიჯვნა. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი გიორგი მალძიგაშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ კომპანიებისთვის რთული იქნება გამიჯნოს გათავისუფლებული საქმიანობით მიღებული მოგება და ისეთი ტიპის მოგება, რომელიც არ არის გათავისუფლებული გადასახადებიდან.

მთის კანონი სულ ცოტა ხანია, რაც ამოქმედდა, თუმცა დაინტერესება ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან არსებობს. შემოსავლების სამსახური რამდენიმე განაცხადს მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ უკვე ამუშავებს.

2015 წლის 14 დეკემბერს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებათა ნუსხა. სია საქართველოში მდებარე 1600 დასახლებულ პუნქტს აერთიანებს. ეს სტატუსი დასახლებებს 10 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ, 10 წლის შემდეგ კი, კანონის მოქმედების შედეგებიდან გამომდინარე, გადაისინჯება დასახლებული პუნქტების სია.

კანონის მთავარი მისიაა მთის დაცლის პროცესის შეჩერება, ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სოფლის მოსახლეობა თითქმის 24 პროცენტითაა შემცირებული.

გეძა დანელია

◎ მოსაზრებები სადისკუსიოდ

მართალი მესიტყვის ბრალდებები,

ანუ როგორი არჩევნები და საარჩევნო სისტემა გვინდა?!

ერთ წიგნად გამოიცა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, პუბლიცისტისა და მწერალთა კავშირის „მართალი სიტყვის რაინდის“ საპატიო წოდების მფლობელის ბატონ **ანზორ ბაბუხადიას** ნააზრევი **„როდემდე უნდა გვჯიჯგნონ ვაი-პოლიტიკოსებმა“**. ჩვენი გაზეთის მკითხველებს კარგად ახსოვთ მძაფრი, პირდაპირი და მიუკერძოებელი მოსაზრებები იმ მანკიერი მიმდინარეობების აღმოსაფხვრელად, რომელიც მთელი წლების მანძილზე იჩენდა თავს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში და განსაკუთრებით არჩევნების დროს. თავს უფლებას მივცემ რამდენიმე წერილის სათაური დავასახელო და შემდგომ მოკლედ მოგახსენოთ ბატონი ანზორის იმ ბრალდებებზე, რომელსაც იგი უყენებს არამარტო საარჩევნო სისტემის ვითომდა მოგვარების მესვეურებს, არამედ ყველა პოლიტიკური პარტიის თავკაცებს. **„პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკურ საქმიანობას“** (2003 წ.); **„პრეტენდენტებს – მხოლოდ თანაბარი პირობები“** (2008 წ.); **„მაჟორიტარები – გვჭირდება თუ არა ისინი“** (2015 წ.) და სხვა.

ახალი ბროშურა „როდემდე უნდა გვჯიჯგნონ ვაი-პოლიტიკოსებმა“, სწორედ რომ ბატონი ანზორის მოქალაქეობრივი პოზიციის სრული დემონსტრირებაა და მას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ: – **პარლამენტის წევრების შერჩევის კრიტერიუმად უნდა დავისახოთ არა მათდამი პიროვნული სიმპათიები, არამედ ის, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ ქვეყნის საკეთილდღეოდ; პარლამენტის წევრებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი, პრივილეგია და მათი პენსიაც ქვეყანაში მოქმედი საპენსიო განაკვეთის ფარგლებში უნდა ჯდებოდეს; პარლამენტის ყველა დეპუტატობის კანდიდატს წინასაარჩევნოდ უნდა ჰქონდეს საადგილმამულო საშუალებების გამოყენების თანაბარი პირობები, ეს შეეხება საეთერო დროს, ბილბორდებსა თუ სააგიტაციო პლაკატებს; არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა, პირიქით, რაც უფრო შეიზღუდება ამ მიმართულებით ვაი-პოლიტიკოსთა და ვითომ პოლიტ-ექსპერტთა ბრძოლა, მით უფრო წაადგება ეს საქმეს; პარლამენტში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა ქვეყნიდან საეჭვო წარმომავლობის გრანტებით გაზულუქებულ, ქვეყნის საზიანოდ მოქმედ პოლიტიკოსებსა და სხვადასხვა ორგანიზაციის წევრებს და სხვ.**

ბატონ ანზორს მიაჩნია, რომ მკაცრად უნდა გაკონტროლდეს არჩევნების შედეგები, რადგან უმეტეს შემთხვევაში, თითქმის ყველა არჩევნების დროს, ადგილი ჰქონდა სხვაობას დაფიქსირებულ შედეგებსა და რეალობას შორის. ამ და სხვა მრავალი თამამი, ქვეყნისთვის მართლაც მნიშვნელოვანი წინადადებებისა და იდეის ავტორი ანზორ ბაბუხადია მზადყოფნას გამოთქვამს, ნებისმიერ დაინტერესებულ კვალიფიციურ მხარესთან გამართოს დებატები, რათა, ბოლოს და ბოლოს, მოინახოს გამოსავალი ქვეყნისათვის დანაშაულებრივი, ნაკლოვანებებით გაძეძგილი საარჩევნო სისტემისა თუ გარემოს გამოსასწორებლად.

მამუკა ვაშაკიძე.

P. S. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016 წლის 16 თებერვალს დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის, ბელგიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულისა და ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორის ბატონ ომარ ხახაშვილის წერილი „დეპუტატი ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული და არა პარტიისა“. ბევრს ვისაც არ წაუკითხავს ეს წერილი, მოვახსენებ, რომ ბატონი ომარი თავის მოსაზრებებს გამოთქვამს, თუ როგორი საარჩევნო გარემო უნდა შეიქმნას კარს მომდგარი არჩევნებისთვის და რა პრობლემებია გამოსასწორებელი.

ზემოთ ნახსენები წერილი სწორედ სრულად იზიარებს ბატონი ანზორის მოსაზრებებსა და წინადადებებს, რომლებიც მის ბროშურაშია გაერთიანებული და წლების განმავლობაში იბეჭდებოდა, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და პუბლიცისტის მიერ გამოცემულ რამდენიმე წიგნში, მოყოლებული 1999 წლიდან დღემდე.

მ. ვ.

◎ „კასპის ისტორიის“ გამო

ხომ არ დაირღვა საავტორო უფლებები?!

პლაგიატი ლათინური სიტყვაა და მიტაცებას ნიშნავს

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენებურმა პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა გამოსცა წიგნი სათაურით – „კასპის ისტორია“. კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მწერალ გიორგი ხორგუაშვილს დატოვებული ჰქონდა ნარკვევი კასპის ისტორიაზე. ოთარაშვილმა ეს მასალა გამოიტანა მუზეუმიდან და აგრეთვე ოჯახიდან ითხოვა გიორგი ხორგუაშვილის მიერ 80-იან წლებში გამოშვებული წიგნი კასპის თანამედროვეობაზე სათაურით „ჩვენი გამარჯვებისა“, რომელიც უკან არ დაუბრუნებია.

ეს ყველაფერი კარგია და სასიამოვნო, რომ კასპელი მოსახლეობა გაეცნობა თავისი რაიონის წარსულსა და ახლანდელობას, მაგრამ ცუდია ის, რომ მან წიგნის დასასრულს არ უჩვენა და არ მიუთითა თავისი წიგნის წერისას რა წყაროები გამოიყენა. რბილად რომ ვთქვათ, ხომ არ ნიშნავს ეს ყველაფერი საავტორო უფლებების დარღვევას?!

სულ ახლახან ინფორმაცია შევიტყვე, რომ ოთარაშვილი აპირებს მეორე წიგნის დაწერას. ამჯერად დიდი მოურავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

გიორგი ხორგუაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაინტერესებული იყო ამ თემით. მით უმეტეს, რომ იგი დავალებული იყო მწერალ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძისაგან, როგორც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს მიეხედა ამ საშვილიშვილო საქმისათვის, რაზედაც მრავალი ნაშრომი, ნარკვევი თუ სხვა მასალა დაუტოვა მუზეუმს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ დიდი მოურავის ძეგლის დადგმის იდეაც ეკუთვნის მუზეუმს გიორგი ხორგუაშვილის თაოსნობით, რაზედაც დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ ქერქაძე, კულტურის სამინისტროს და ცენტრალურ კომიტეტს, რაც რეალობად იქცა და 1970 წლის გიორგობის თვის 22 რიცხვში კასპის ცენტრში ზარ-ზეიმით გაიხსნა გიორგი საკაძის ძეგლი მერაბ ბერძენიშვილის ავტორობით.

ამ დროისათვის გიორგი ლეონიძე გარდაცვლილი იყო, მაგრამ სიცოცხლეში გიორგი ხორგუაშვილისთვის გაუნდვია თავისი აზრი თუ ჰიპოთეზა, რასაც ვიგებთ ხორგუაშვილის შემოქმედებითი არქივის გადარჩევისას: გვხვდება ერთ-ერთი საქაღალდე, რომელსაც აწერია„გიორგი საკაძე“. გადავშლით ყდას და ვკითხულობთ – „საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა“. ქვეშ კი ასეთი შინაარსი მოჰყვება: „ბატონმა გიორგი ლეონიძემ შეხვედრისას გამანდო აზრი, რომ სირიის ქალაქ ალეპოში დიდი მოურავის დაღუპვის შემდეგ ქართველმა მისიონერებმა ჩუმად წამოიღეს საკაძის ნეშტის ნაწილები და ჩამოიტანეს საქართველოში. იგი დაფლეს კასპის რაიონის სოფელ მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ. ახლა მე დრო არ მაქვს... დიდ საქმეებს ვარ შეჭიდებული, აღარც ძალა შემწევს და ამიტომ გიბარებ შენო, – უთქვამს ლეონიძეს.

ამ ამბავს პირველად ვახმიანებ მკითხველისათვის. იმედს ვიტოვებ, რომ ოთარაშვილი მეორე წიგნის დაწერისას მსგავს შემთხვევებს არ გაიმეორებს და მიუთითებს მასალასა და ავტორზე, რომელსაც ის გამოიყენებს.

ნათელა ფარემუზაშვილი,
პედაგოგი, მწერალ გიორგი ხორგუაშვილის ქვრივი.
ქ. კასპი

◎ თანამშრომლობა

„საბურთალო“ – ესპანურ რელსებზე

„საბურთალოს“ სპორტული დირექტორი ესპანელი მანოლო იერო იქნება. ეს ინფორმაცია „საბურთალოს“ დირექტორ კახა კაშიასგან შევიტყვეთ. მანოლო იერო მადრიდის „რეალისა“ და ესპანური ფეხბურთის ლეგენდის ფერნანდო იეროს უფროსი ძმაა.

მანოლო იერო 53 წლისაა. 6 წელი (1980-1986) თამაშობდა „მალაგაში“, შემდეგ ორი სეზონი „ვალიადოლიდში“ გაატარა, კიდევ ერთი წელი „ბარსელონაში“ იყო, მერე კი „ბეტისსა“ და „ტენერიფეშიც“. იგი მცველი გახლდათ.

მანოლო იერომ ერთი წელი იმუშავა „მალაგას“ სპორტულ დირექტორად – 2006 წელს, ხოლო შემდეგ ქვედადივიზიონელ „პუერტოლიანოშიც“ ეკავა ეს პოსტი.

ფერნანდო იეროს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა „საბურთალოსთან“ და ეს ქართული კლუბის მადრიდის „რეალთან“ თანამშრომლობაში გადაიზარდა. ფერნანდო იერო სამიოდე თვის წინათ საქართველოშიც იყო ჩამოსული სპორტის სამინისტროს (ტარიელ ხეჩიკაშვილი) მოწვევით, ასევე შეხვდა სფფ-ის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილსა და ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებს.

მანოლო იერო 1 მარტიდან ოფიციალურად დაინიშნება „საბურთალოს“ სპორტულ დირექტორად. ის იქნება საბურთალოელთა ასაკობრივი გუნდების კურატორიც.

ასევე შევიტყვეთ, რომ „საბურთალოში“ ზაფხულიდან იმუშავებს ესპანელი ფიზმომზადების მწვრთნელი. მისი გვარი ჯერჯერობით არ ხმაურდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ფეხბურთი

ომი გერმანიაში გაგრძელდება

როგორც ტურნირის „იუვენტუსი“, ისე მიუნხენის „ბაიერნი“ ბრწყინვალედ ატარებენ სეზონს და დამსახურებულად ლიდერობენ „სერია-ა“-სა და ბუნდესლიგას, ამიტომ ამ წყვილის ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სამართლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად.

იტალიაში გამართულმა პირველმა რაუნდმა დაადასტურა გამოთქმული ვარაუდის საფუძვლიანობა – მეტოქეებმა ტოლი არ დაუდეს ერთმანეთს და ლოგიკური ზავიც გააფორმეს – 2:2, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ასეთი შედეგი უფრო მეტ მორალურ კმაყოფილებას, ალბათ, „ბებერ ქალბატონს“ მიანიჭებდა – მასპინძლებმა ხომ მრისხანე ბავარიელებს ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩეს.

განსხვავებული სცენარით განვითარდა მოვლენები ლონდონში, სადაც ტურნირის უმთავრესმა ფავორიტმა და მოქმედმა ტრიუმფატორმა „ბარსელონამ“ მესის, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენე „დუბლით“ 2:2 დააჩოქა „არსენალი“ და საპასუხო შეხვედრას ინტრიგა მოუკლა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

გასოლისთვის სეზონი დასრულდა

„მემფის გრიზლიზის“ ცენტრი მარკ გასოლი გუნდს სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

გასოლმა რამდენიმე დღის წინათ „პორტლენდთან“ მატჩში ფეხი დაიზიანა. ესპანელმა ოპერაცია გაიკეთა და აღდგენითი პროცესის დასრულება, როგორც ჩანს, ამ სეზონში ვეღარ მოესწრება.

მიმდინარე სეზონში მარკმა 52 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ ერთ შეხვედრაში 16.6 ქულას, 7 მოხსნას და 3.8 პასს აგროვებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ისევ დისკრიმინაცია?

მასობრივი ჩხუბი რასობრივ ნიადაგზე

მასობრივი ჩხუბი მოხდა სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინში გამართულ სარაგბო მატჩში, რომელშიც ერთმანეთს თავისუფალი შტატისა და ნელსონ მანდელას სახელობის უნივერსიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ. საგანგაშო ის გახლავთ, რომ ცემა-ტყეპის დროს მხარეები კანის ფერის მიხედვით იყვნენ გაყოფილნი. შავკანიანი ქომაგები იმანაც გააღიზიანა, რომ სამართალდამცავებმა ჩხუბის დროს თეთრკანიანთა მხარე დაიკავეს და რეზინის ტყვიებსაც მეტწილად მათ ესროდნენ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ლოპესის მე-400 გამარჯვება

მსოფლიოს 24-ე ჩოგანმა, ესპანელმა ფელისიანო ლოპესმა კარიერაში მე-400 შეხვედრა მოიგო. მან დუბაის ტურნირზე თანამემამულე გილერმო გარსია-ლოპესი 6:1, 4:6, 6:4 დაამარცხა.

ლოპესს ერთეულთა თანრიგში კარიერაში 400 გამარჯვება და 366 წაგება დაუგროვდა. ფელისიანოს კარიერაში ერთეულთა თანრიგში ATP-ის 4 ტურნირი აქვს მოგებული.

ბადრი იაშვილი

◎ ძიუდო

ტატამზე გოგონებიც მომრავლდნენ

ძიუდოს აკადემიის დარბაზი ორ დღეს მასპინძლობდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატს გოგონებსა და ვაჟებში.

ჭაბუკთა ტურნირის მონაწილეები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონალური შეჯიბრებების შემდეგ შეირჩა. მედლებისთვის პაექრობები დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მართალია, კვარცხლბეკზე უმთავრესად უწინდელი ლიდერები ავიდნენ, მაგრამ უმცროსი ასაკიდან გადმოსულებმაც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, 17 წლის რობინზონ ბეგლარაშვილმა (60), რომელიც ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია, ახალგაზრდებშიც დამაჯერებლად იჭიდავა და პირველი ადგილი დაიკავა. შარშან თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი მოიგო ონისე სანებლიძემ (90) და იგი ამჯერად ახალგაზრდებში გახდა საქართველოს ჩემპიონი. საგულისხმოა, რომ 69 კილოში უმედლოდ დარჩა ჭაბუკებში მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი ვანო ხუბაშვილი.

ვაჟებში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ დავით გეჯაძე (55), რობინზონ ბეგლარაშვილი (60), ბექა უდესიანი (66), გიგა გიგაური (73), გიორგი ქურდიანი (81), ონისე სანებლიძე (90), დავით ოზბეთელაშვილი (100) და ნიკა სისვაძე (+100).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო დროს ტატამზე გოგონების მომრავლება. ამ შეჯიბრებაზე მათმა რაოდენობამ 30-ს მიაღწია.

მონაწილეთა შორის არ იყო კადეტებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მზია ბებოშვილი (52) – მას ფეხზე ჯვარედინი იოგები გაუწყდა და მკურნალობს.

გოგონებში ჩემპიონები გახდნენ ლიკა როგავა (48), ეკატერინე ტატუნაშვილი (52), ნინო მგელაძე (57), ქრისტინე მამულაძე (63), სალომე მჭედლიშვილი (70) და მარიამ ცერცვაძე (78).

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

კაროლინა არდოჰაინი „ალბისელესტეს“ ესიყვარულება

არგენტინის საფეხბურთო ნაკრებს ბოლო დროს იმდენი თილისმა და სიყვარულით გულშევარდნილი ქომაგი გამოუჩნდა, რომ ახლა ალბათ ის დროა, როდესაც „ალბისელესტე“ საფეხბურთო გუნდის ნაცვლად სამოდელო სახლად უნდა გადაკეთდეს და იგი ზოგჯერ ისე საზარლად თამაშობს, შეიძლება არც უამისობა იყოს.

უკანასკნელ პერიოდში ნამეტნავად გააქტიურდა არგენტინელი მოდელი კაროლინა არდოჰაინი, რომელმაც ოფიციალურად თავი „ვერცხლისქვეყნელთა“ ეროვნული გუნდის თილისმად შერაცხა და თავპატიჟდაუდებლად განაცხადა, რომ მშობლიური ნაკრების ყველაზე ერთგული და ჭეშმარიტი ქომაგი თავად არის.

ჭეშმარიტ ქომაგობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ტან-ფეხი და მკერდის გარშემოწერილობა ამ ქალს რომ არ დაეწუნება – ფოტოდანაც ადვილად მიხვდებით. ხარისხიანი და ჯანმრთელი მოდელი კი ხანდახან ათ ანხელ დი მარიასა და თხუთმეტ გონსალო იგუაინსაც კი ჯობია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული

25 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხსენებას.

...ცნობილია, ათონელთა მიხედვით, სასწაულმოქმედი ხატის ხსენებას ეკლესია ასევე დღესასწაულობს 26 ოქტომბერს...

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები ბევრ ადგილას ბრძანდებიან: ათონზე, მოზდოკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სოფრონიევის უდაბნოში, სმოლენსკში.

დღეს მოგითხრობთ (ადრე გვისაუბრია ათონზე მყოფ ივერიის ღვთისმშობლის ხატზე) ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ, რომელიც სმოლენსკშია დაბრძანებული.

საგულისხმოა, რომ ძველ დროში დაწერილ სიწმინდედ მიჩნეულ ამ ხატს თან ახლავს 1700 წლით დათარიღებული სიგელი, მასში გადმოცემულია სმოლენსკის მიტროპოლიტის სილვესტერ ჩერნიცკის კურთხევა, რომლის მიხედვითაც, შაბათობით ხატის წინაშე დაუჯდომელი უნდა წაკითხულიყო.

მთელ საქართველოს შეეწიოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლი!

გიული ლიპარტია

◎ სათრეველები

პანდორას ყუთი

გვარამიასა ვკითხოთ ნიკასა,
ანდა მის მუდმივ კუდისრიკასა,
სიბილწით სავსე პანდორას ყუთი
„რუსთავ-ორია“,
თუ „ცრუსთავ-ხუთი?“

ენანაცვალი

ბანერი ახლა ჩვენთან რაც არის,
მიკრულია თუ მიგლისურია,
დედას გვავიწყებს, დედინაცვალის
ენა, რადგანაც ინგლისურია!

ძიძგი-ძიძგი!

ინტრიგანი ძალას გრძნობს
და რომ დაგვასამაროს,
საკინკლაოდ აღგვაგზნო:
— შენზე ეს თქვა ამანო...
ქსი-ქსი-ქსი-ქსი, ნაგაზო,
ძიძგი-ძიძგი, მამალო!

შარო, საიდან მოდიხარ?

მოშარე მყავს ჭარბადა
გამიხადეს სადავოდ,
მოხარშულს რად ჭამდა და
მოხრაკულს რად ჭამდაო?

ალექსანდრე შენგელია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სკეები გადაეცათ

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 21 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 1694 სკა გადაეცა. ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე ესწრებოდნენ.

პროგრამა ხელს შეუწყობს კოოპერატივების მიერ წარმოებული თაფლის მიკვლევადობის ამაღლებას, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეძლებენ საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდას.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაციის მეორე ეტაპი 29 თებერვლიდან დაიწყება და 16 მარტამდე გაგრძელდება.

თემძაზე ახალი სკვერი შენდება

თემძაზე, ანაპის ქუჩაზე მდებარე სკვერის აღდგენითი კაპიტალური სამუშაოები დაიწყო. ამის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობას ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ სკვერში გამართულ შეხვედრაზე ესაუბრა. სკვერის ტერიტორიაზე მთლიანად გამოიცვლება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოპირკეთდება ზედაპირი. პროექტის მიხედვით რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკვერში არსებულ აუზსა და შადრევანს. მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდება ხის პანელები, სკამები, განახლდება სკვერში არსებული განათებები. დაიგება მწვანე საფარი.

ზაზა გაბუნიამ გამგეობის სამომავლო გეგმებსა და მიმდინარე პროექტებზეც ისაუბრა და ადგილობრივების პრობლემები მოისმინა.

◎ მიზეზ-მიზეზ...

რად აითვალწუნეს ქართული ცხვარი?

აზიელებს ქართული საქონელი თვალში არ მოსდით

აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოდან ცოცხალი პირუტყვის შეყვანა ქუვეთიმაც აკრძალა. აზიელების პოზიცია ცოტა უცნაურია, რადგან ქუვეითში საქართველოდან ცოცხალი საქონელი რამდენიმე წელია, აღარ შედის.

ცოცხალი პირუტყვის იმპორტის აკრძალვაზე გადაწყვეტილება ქუვეითის სასოფლო-სამეურნეო საქმეთა და თევზის რესურსების სახელმწიფო უწყებამ მიიღო. ამის მიზეზი საქართველოში კატარული ცხელების ეპიდემიის გავრცელებაა. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, დაავადებული პირუტყვი უკან, საქართველოში გაიგზავნება. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში კატარალური ცხელების ხუთი შემთხვევა აღინუსხა.

სწორედ პირუტყვის დაავადება გახდა საბაბი, რის საფუძველზეც დაახლოებით თვენახევრის წინათ აზერბაიჯანმა ცოცხალი პირუტყვის იმპორტზე ქართულ მხარეს უარი განუცხადა. დაავადება არც ამ შემთხვევაში დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა, მეზობელ ქვეყანას ჯერჯერობით აკრძალვა არ გაუუქმებია. შესაბამისად, ქართველი ფერმერები გასაღების ბაზრის ჩაკეტვის გამო კვლავაც ზარალობენ.

სურსათის ეროვნული სააგენტო ქუვეითის მიერ საქართველოდან ზოგიერთი პირუტყვის იმპორტის აკრძალვას სწრაფად გამოეხმაურა. უწყებამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ საქართველოში ცხვრის კატარალური ცხელების არსებობა არ დადასტურდა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია ყველა წევრ ქვეყანას.

საქართველოში აღებული ნიმუშები გადაიგზავნა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირბრაიდის (დიდი ბრიტანეთი) რეფერალურ ლაბორატორიაში. გაგზავნილი 11 ნიმუშიდან ცხვრის კატარალური ცხელება არც ერთში არ აღმოჩნდა.

მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილიც ადასტურებს, რომ საქართველოში არავითარი დაავადება არ არის. ამიტომ საჭიროა ასეთი არასწორი ინფორმაციის სასწრაფოდ გაქარწყლება.

„ფაქტია, რომ დაავადება რეალურად არ აღმოჩენილა. სურსათის უვნებლობის სამსახურმა ოფიციალური განცხადება უკვე გააკეთა. იგივე შემიძლია მეც განვაცხადო. დანამდვილებით შემიძლია თქმა, რომ ცხვრის კატარული ცხელების დაავადება საქართველოში არ არსებობს. ეს დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო ბრალდებაა“, — აცხადებს ბექა გონაშვილი.

ბექა დანელია

◎ ეს უნდა ვიცოდეთ

ყინვა ხანდახან სასარგებლოც ყოფილა...

ყინვა — ესაა ჰაერის ტემპერატურის დაცემა ცელსიუსის 0 გრადუსზე დაბლა.

ცელსიუსის -1 გრადუსიდან -3 გრადუსამდე — ასეთი ამინდი ზომიერი კლიმატის ზონებში ითვლება სუსტ ყინვად ან სუსხად.

ცელსიუსის — 25 გრადუსისა და უფრო დაბალი ტემპერატურის დროს ევროპისა და რუსეთის ნაწილში სკოლისგან ათავისუფლებენ 1-4 კლასების მოსწავლეებს: -27-31 გრადუსის დროს — 5-11 კლასების მოსწავლეებს.

30 პროცენტით იზრდება ჟანგბადის შემცველობა ჰაერში ყინვის გაჩენის დროს. ჰაერი სამკურნალო ხდება.

ყინვაში ფიზიკური აქტივობის დროს ადამიანის ორგანიზმში აქტიურდება დამცველი უჯრედები, ლეიკოციტები, რომლებიც ინფექციებს ებრძვიან. ამ დროს იზრდება ინტერფერონის გამომუშავებაც, რომელიც ზრდის იმუნიტეტს.

გაცივებათა რიცხვი შესამჩნევად მცირდება ძლიერი ყინვების დროს, ვინაიდან სათანადო ვირუსები აქტიურად გვაზიანებენ დათბობის პერიოდში ცელსიუსის დაახლოებით 0 გრადუსის დროს.

როდესაც ადამიანი ჩაისუნთქავს ყინვის ჰაერს, ორგანიზმში ძლიერდება ქოლესტერინის წვა, გულთან და სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების ამ მთავარი დამნაშავისა.

ყინვას შეუძლია აამაღლოს ჰემოგლობინის დონე და გაზარდოს ერითროციტების გამომუშავება.

ცელსიუსის -4 გრადუსიდან ცელსიუსის -12 გრადუსამდე — ზომიერი ყინვაა, -13 გრადუსიდან -22 გრადუსამდე — მნიშვნელოვანი ყინვა, -23 გრადუსიდან -33 გრადუსამდე — ძლიერი ყინვაა, -34 გრადუსიდან -43 გრადუსამდე — მკაცრი (საშინელი), -44 გრადუსიდან — უკიდურესი ყინვა.

მოყინვა ყინვაში ყველაზე ხშირად ხდება -10 გრადუსიდან -20 გრადუსამდე, განსაკუთრებით მაღალი ტენიანობისა და ძლიერი ქარის დროს.

ქარი ზრდის ყინვის შეგრძნებას. ქარის ყოველი მეტრი წამში ყინვის 2 გრადუსს უთანაბრდება.

ყინვა არ აძლევს გამრავლების საშუალებას ტკიპებს, მალარიის კოღოებს და სხვა მწერებს და ასე გვიცავს ეპიდემიებისაგან.

ყინვის დროს ძლიერდება ვეგეტატიური ნერვული სისტემა. საკმარისია ყინვაში ყოველდღიურად მოაწყოთ ერთსაათიანი გასეირნება და თქვენ უფრო მყარი გახდებით სტრესთან დაკავშირებით.

250-მდე კილოკალორიას შეუძლია „დაწვას“ ყინვაში სამსაათიანი ყოფნა.

◎ ინფორმაცია

საშაურმეში აფეთქებამ 4 ადამიანი დააზარალა

გლდანში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე საშაურმეში აფეთქება მოხდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, დაშავებულია 4 ადამიანი.

წინასწარი ინფორმაციით საშაურმეში გაზის გაჟონვამ აფეთქება გამოიწვია.

გამოძიება სსკ-ის 2401-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას ითვალისწინებს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. 2 93-37-87.

◎ ჩვენი კარაბადინი

ორენოვანი უპირატესობა

ორენოვანი ბავშვები უკეთ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსურ სწრაფვებს და, მაშასადამე, აქვთ უპირატესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიაჩნიათ კანადელ მეცნიერებს კონკორდიის უნივერსიტეტიდან.

წლიდან სამ წლამდე ასაკის ბილინგვები დიდად არ განსხვავდებიან იმ თავიანთი თანატოლებისაგან, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ასაკთან და სიტყვიერი მარაგის ზრდასთან ერთად ორენოვანი ბავშვები უკეთ აკონტროლებენ იმპულსურ სწრაფვებს. საქმე ენიდან ენაზე მუდმივ გადართვაშია. ბილინგვებს უფრო სწრაფად უვითარდებათ გონების მოქნილობა და შერჩევითი ყურადღება, რაც აუცილებელია, რათა გამოიყენონ ორივე ენა.

მოწევა და უნაყოფობა

მოწევას, როგორც აქტიურს, ისე პასიურს, მივყავართ ქალებში უნაყოფობასთან და ადრეულ მენოპაუზასთან, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს როსველ პარკის ონკოლოგიური ინსტიტუტიდან.

მკვლევარებმა შეისწავლეს მონაცემები 160 000 ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის, აგრეთვე იმის შესახებ, იყვნენ თუ არა ისინი პასიური ან აქტიური მწეველები. აღმოჩნდა, რომ მწეველ ქალებს (თუნდაც მათ უარი თქვეს ამ მავნე ჩვევაზე) უნაყოფობის დიაგნოსტირება ჰქონდათ 14 პროცენტით უფრო ხშირად, ვიდრე არამწეველებს. მწეველი ქალები 26 პროცენტით უფრო ხშირად ეყრებოდნენ ადრეულ მენოპაუზას. ისინი კი, ვინც რეგულარულად განიცდიდა თამბაქოს კვამლის მოქმედებას, მაგალითად, ცხოვრობდა მწეველ მამაკაცთან 10-ზე მეტი წლის განმავლობაში, 18 პროცენტით უფრო ხშირად ემორჩილებოდა უნაყოფობას ან ადრეულ მენოპაუზას.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტოქსიკური ნივთიერებანი, რასაც თამბაქოს კვამლი შეიცავს, გავლენას ახდენს ჰორმონებსა და რეპროდუქტიულ სისტემაზე.

ეს იყო უდიდესი გამოკვლევა პასიური მოწევის გავლენის შესახებ ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

ჩაი სიყრუის წინააღმდეგ

მწვანე ჩაი გვიცავს სმენის დაკარგვისაგან, აჩვენა ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევებმა.

წლებთან ერთად სმენა უარესდება. ამის მიზეზია – თავისუფალი რადიკალები, რომლებიც გამომუშავდება ორგანიზმში ხმამაღალი ხმების პასუხად. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მოვახდინოთ თავისუფალი რადიკალების ზემოქმედების ნეიტრალიზება და სმენის დაცვა ხმაურისა და მაღალი ხმების დამღუპველი ზემოქმედებისაგან, შეუძლია რესვერატროლს. მას დიდი ოდენობით შეიცავს მწვანე ჩაი და, წითელი მშრალი ღვინოც, რასაკვირველია.

სტრესი და წონა

სტრესი ხელს გვიშლის, დავიკლოთ წონა, აჩვენა ამერიკელების გამოკვლევამ ფლორიდის უნივერსიტეტიდან.

მათ მოაწყვეს ექსპერიმენტების სერია თაგვებისა და ადამიანების, აგრეთვე ლაბრატორიის თაგვების უჯრედების კულტურებზე. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ მღრღნელების ცხიმოვან ქსოვილსა და ღვიძლში ზრდის ბეტატროფინის ჰორმონის გამომუშავებას. ამას კი, თავის მხრივ, მივყავართ იმ ფერმენტების ჩახშობასთან, რომლებიც აუცილებელია ცხიმების დაწვისათვის, და ზედმეტი წონისაგან გათავისუფლება ყოვნდება.

ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნათელა დიდებულიძე:

– ვეთანხმები დასავლელ მკვლევარებს. სტრესი ადამიანზე ახდენს უარყოფითი ზემოქმედების მთელ კომპლექსს. მათ შორის შეუძლია დაამუხრუჭოს წონის შემცირების პროცესი ან, პირიქით, მივყავართ წონის მომატებასთან და სიმსუქნის განვითარებასთან.

ამისი მექანიზმი რამდენიმეა, კერძოდ ის, რომელსაც ამერიკელი მკვლევარები სწავლობდნენ. ასევე დიდმა ემოციურმა დატვირთვებმა შეიძლება გაზარდოს მადა. ბევრი ადამიანი, ასე ვთქვათ, „ჭამს სტრესს“ და ასე მოიხმარენ ზედმეტ კალორიებს, ბევრ შაქარს, მარილს, ცხიმებს. აქედან გამომდინარე შედეგებით – გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ენდოკრინული სისტემის, საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებათა სახით.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ფოტოფაქტი

ესაა ორიდან ერთ-ერთი პანდა, რომელსაც მარტში ჩინეთიდან სამხრეთ კორეაში გაგზავნიან. საგულისხმოა, რომ ეს ცხოველები კორეას ჯერ კიდევ 1994 წელს გადასცეს, მაგრამ მალევე გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი დაიწყო, პანდების შენახვა გაჭირდა და ისინი უკან ჩინეთში დააბრუნეს. ამ ჯერზე ჩინელი პანდების კორეაში „ასიმილირების“ ეს მეორე ცდაა.

◎ გუშინ

ისლამ ფილფანი „ხელოვნების ქურუმია“

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი სალოტბარო სკოლების გახსნის პროცესს განაგრძობს. 24 თებერვალს მესტიაში მორიგი სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოს მასშტაბით სულ 14 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს. წელს კი მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება. კერძოდ, სკოლების გახსნა მესტიის გარდა, უკვე დაგეგმილია ბაღდათის, ონისა და ცაგერის რაიონებშიც. მნიშვნელოვანია, რომ სალოტბარო სკოლებში პროფესიონალი და გამოცდილი სპეციალისტებია დასაქმებული, ამასთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებაზეც ზრუნავს. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ცენტრს ხელს უწყობენ და ეხმარებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს, კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ უხუცეს მომღერალს ისლამ ფილფანს ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო – „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა.

◎ ციცხალი ანეკდოტები

– გამვიგე, რომ განქორწინებულხარ... როგორ გადაიტანე?
– ახლა რა მიჭირს, ცოტათი დავწყნარდი, თავიდან კი მეგონა, რომ სიხარულისგან გავგიჟდებოდი!

* * *

– არ შეგიძლია, რომ 100 ლარი მასესხო?
– პრინციპში შემიძლია, მაგრამ რამდენად მალე დამიბრუნებ?
– როგორც კი ვინმეს ვიპოვი, ვინც 200 ლარს მასესხებს.

* * *

– გამარჯობათ, მე მაქსი მქვია.
– ძალიან სასიამოვნოა.
– არა მგონია, ბოლომდე ნასიამოვნები დარჩეთ, რადგან თქვენთვის ნასესხები ფულის მისაღებად მოვედი.

* * *

ძალი ნებისმიერმა წვრილმანმა შეიძლება ჩააგდოს ისტერიკაში. კაცის ისტერიკაში ჩაგდება კი მხოლოდ ქალს შეუძლია.

* * *

– როდესაც მაღვიძარა რეკავს, მეჩვენება, თითქოს მიბჯრით მესვრიან...
– და უმალ წამოხტებით ხოლმე?
– არა, მკვდარივით ვწევარ...

* * *

მიმოწერა ინტერნეტში.
– აღმიწერე შენი თავი.
– ძვლები, ხორცი, ხუთი ლიტრი სისხლი და მხიარული, აღგზნებული თვალები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!